რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 14 აპრილი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ სვეტამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 23 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 23

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის ბიურო მოთავსებულია გოლოვინის პროსპ. № 12 „ერთობის" რედაქციის გვერდით.

მუდმივი მდივნის მოვალეობას შეასრულებს ზ. ჩიჩუა და ამხანაგებს სთხოვენ მიმართონ მას ახსნა-განმარტებისთვის.

ბიურო ღიაა დილით 11—1 საათამდე.

საღამოს 5—7 „

შაბათს, 15 აპრილს დილის 10 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

არჩილ ალექსანდრეს ძე შვედოვის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ დები: ვერა, მარიამი, ნინო და მინადორა; დეიდები: თაფლო და დუსია; ძმები ახმეტელაშვილები.

## მოქალაქენო!

15 აპრილს რევოლიუციონური პროლეტარიატი და რევოლიუციონური არმია გამართავენ წითელ ყვავილის დღეს.

წითელი ყვავილი—ეს სიმბოლოა ძლევამოსილ რუსეთის რევოლიუციისა, სიმბოლოა სისხლისა, რომელიც თავისუფლებისათვის დაიღვარა.

მოქალაქენო! მოპოებული თავისუფლება ერთნაირათ ძვირფასია ყველასათვის და ჩვენც სიხარულით და სიამაყით დავიმშვენოთ გვერდი წითელი ყვავილით.

ნახევარი შემოსული ფულისა მოხმარდება საჩუქრებს ფრონტზე მყოფ ამხანაგ ჯარის კაცებისათვის. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭოები.

## პოლიტიკურ გადასახ. დამხმარე კომისია

### მოქალაქენო!

მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა პოლიტიკურ გადასახლებულთა დამხმარე კომისია.

რომ ეს დახმარება საკმარისი დარჩეს, საჭიროა საშუალება, საშუალება და საშუალება.

გთხოვთ ფული გამოგზავნოთ სასახლეში კომისიის სახელზე დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ტანისამოსი, თეთრეული და ფეხსაცმელი ლაზარეთი № 29 ში გუდოვიჩის ქუჩა, იმავე საათებში.

კომისია იმყოფება სასახლეში, მუშათა დეპუტატების საბჭოსთან.

კვირას 16 აპრილს დილის 10 საათზე ადგილობრივ თეატრის დარბაზში მოხდება ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

## წევრთა კრება.

წევრთა წინასწარ ჩაწერა სწარმოებს 5 აპრილიდგან მუშათა დეპუტატეს საბჭოში ი. ხარატიშვილთან დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე საღამოს 4—8 ს.-მდე.

კრების დღეს ახალი წევრების მიღება შეიძლება თეატრშიაც. კრებაზე გარეშე პირთა დასწრება არ შეიძლება.

3—2 ჭიათურის სოცია-დემოკრატიული მუშა ორგანიზაცია.

## სახალხო სახლი

პარასკევს, 14 აპრილს 1917 წ. ქართულ დრ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ალ. სუმბათაშვილისა

## ღალატი

დრამა, ლეგენდა 5 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ბ. მატარაძისა, პ. შოთაძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე. ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, შ. დადიანი, იზარიდალიშვილი, ნ. გვარაძე, გ. სალაძე, ი. თარალაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია. დასაწყისი საღ. 9 საათზე.

3—3 ადმინისტრაცია ქართ. მსახ. ამხანაგობა.

## დუშეთის საქალაქო თვითმართველობა

### აცხადებს, რომ მუნიციპალურის საბჭოს

პირველი დემოკრატიული არჩევნები

საბჭოს 15 წევრის (ხმოსნის) ასარჩევათ დანიშნულია ხუთშაბათს, 20 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ყველა დუშეთში მცხოვრები ქალი და კაცი, რომელნიც კი 1898 წელზე ადრე არიან დაბადებულნი. არჩევნები დაიწყება დილის 7 საათზე და გათავდება საღამოს 5 საათზე. ამ ხნის განმავლობაში ყოველი მოქალაქე სათითაოთ მობრძანდება საარჩევნო დარბაზში და თავის კანდიდატების სიას ჩააგდებს საარჩევნო ყუთში. დარბაზში შესვლისათვის საჭიროა ამომრჩევლის ბარათი, რომელიც ყოველმა მოქალაქემ არჩევნების დღემდე თავის სახელზე უნდა მიიღოს ქალაქის თვითმართველობაში. 2—1

## ქ. თფილისის სავაჭრო-სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა

ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ კავშირის კანტორა მოთავსებულია სერგიევის ქუჩაზე, სახლი არზუმანოვისა № 1. კავშირის საქმეებზე აგრეთვე წევრათ ჩაწერისათვის უნდა მიმართოთ საღამოს 7—9 საათამდე. 3—2

[...]ით ვაუწყებთ ყველა ამხანაგებს, რომლებიც მსახურებენ საბაკალეინო, ხილის სავაჭრო და [...]ტრონომიურ მაღაზიებში, რომ კვირას 16 აპრილს დილის 1 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

## საზოგადო კრება

[...]ველ საჭირო კითხვათა გასარჩევათ. ვსთხოვთ ყველა მოვაჭრეებს ამ დროისთვის [...]ნთავისუფლონ თავიანთი ნოქრები და საშვალება მისცენ კრებაზე დასწრებისა.

ევროპიულ ფეხსა[...] [...]ების მოხელეთა საყურადღებოთ!

თანახმათ ვაჭრობა-მრეწველობის მინი[...]რის განკარგულებისა და საზოგადო სახელოსნო გამგეობის მოწერილობისა, ყველა ევრო[...]ულ ფეხსაცმელების სახელოსნოს მეპატრონეები მოწვეულნი არიან კვირას 16 აპრილ[...] დილის 10 საათზე სახელოსნო კლუბის შენობაში

## საზოგადო კრებაზე,

რათა საბოლაოთ აირჩიონ დეპუტატე[...]ი ცეხებიდან, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ თფილისის [...]ღმასრულებელ კომიტეტებში.

2—1 ცეხების მა[...] სახლისი: ა. მკრტიჩიანი და მ. ტერ-გასპარიანი.

## საამშენებლო კანტორა ი. ს. ვარაზაშვილისა

ამით აუწყებს ერზერუმის რკინის გზაზე სამუშაოთ ჩაწერილ მუშებს, რომელთაც სამხედრო ბეგარა ეხებათ, რათა ისინი აპრილის 20-მდე გამოცხადდენ გზაზე სამუშაოთ (სარაკამიშის კანტორაში), ვინც ამ დრომდე არ გამოცხადდება, ისინი სიიდან გამოირიცხებიან და მათი დოკუმენტები გადაეცემა ყარსის სამხედრო უფროსს. 3—1

## საამშენებლო კანტორა ი. ს. ვარაზაშვილისა

ამით აუწყებს ჯულფა-ბაქოს რკინის გზაზე სამუშაოთ ჩაწერილ მუშებს, რომელთაც სამხედრო ბეგარა ეხებათ, რათა ისინი აპრილის 20-მდე გამოცხადდენ გზაზე სამუშაოთ. ვინც ამ დრომდე არ გამოცხადდება ისინი სიიდან ამოირიცხებიან და მათი დოკუმენტები გადაეცემა მუშების სამხედრო უფროსს. 3—1

## ქალ. თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭო.

უტფილი[...] მეფისნაცვლის სასახლე.

მუშათა დეპუტატების საბჭოს საზოგადო კრებები იმართება შაბათობით, საღამოს 5 საათიდან, სახალხო სახლში.

აღმასრულებელი კომიტეტი მუშათა დეპუტატების საბჭოსი იკრიბება კვირაში ორჯელ სამშაბათობით და პარასკეობით, საღამოს 6 საათიდან, საბჭოს სადგომში სასახლეში.

მუშათა საბჭოსა და მისი აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, საბჭოს წევრები, რომლებიც სამჯერ თანდათან არ დაესწრებიან კრებას და ამისათვის საპატიო მიზეზი არ ექნებათ, საბჭოსაგან გასულათ ითვლებიან.

განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა სწარმოებს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ყოველდღე, გარდა კვირა უქმე დღეებისა, დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. კასა ღიაა დილის 11—3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

6—3 [მუ]შათა დეპუტატების საბჭოს აღმასრ. კომიტეტი.

## ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. [...]ისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

## ექიმი კ. ი. ვვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

## ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ქ. ქ უ თ ა ი ს ში.

## ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისან ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქ უ თ ა ი ს ი

## ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

## საყურადღებო ნაბიჯი.

დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულმა ამიერ-კავკასიის კომიტეტმა თავისი სამოქმედო პროგრამა გამოაქვეყნა. თუმცა დიდი დაგვიანებით, მაგრამ ხალხმა მაინც გაიგო, თუ რა მიზანს ისახავს ამიერ-კავკასიის ეხლანდელი მთავრობა.

რევოლიუციას ჯერ კიდევ მრავალი საფრთხე მოელის. რეაქციონერებს იარაღი არ დაუყრიათ და პირველი ხელსაყრელი შემთხვევისათანავე ფართო გამოსვლას და ახალი წყობილების დამხობას შეეცდებიან. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ამიერ-კავკასიის შესახებ, სადაც ეროვნებათა ურთიერთობა ხშირათ მწვავდება. ეს საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს კონტრ-რევოლიუციის ასამოძრავებლად. ასეთ პირობებში საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, რომ თავიდან ავიშოროთ რევოლიუციონური რაზმების არევ-დარევა. ამიტომაც იყო ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანოები დროებით ყველა უმთავრეს სადავო საკითხების გადადებას ესარჩლებიან. ასეთია მაგ. ეროვნული და საეკლესიო საკითხი. მათი გადაჭრა დამფუძნებელი კრების საქმეა. ასეთივე გზა აირჩია ამიერ-კავკასიის კომიტეტმაც. ეჭვს გარეშეა ის ანგარიშს უწევს შექმნილ ვითარებას და რევოლიუციონური წრეების ნება-სურვილებს ემორჩილება. მარა ეს არ მოსწონთ ქართველ ნაციონალისტებს, ამის გამო უკმაყოფილებას გამოსთქვამენ და ამ შემთხვევაში უკრაინელთა და სხვა ერთა მაგალითებზე უთითებენ, რომელნიც დროებითი მთავრობის ნებადაურთველად და დამფუძნებელი კრების გარეშე ეროვნული საკითხის გადაჭრას შეუდგენ. მარა სწორეთ უკრაინელთა მაგალითი ნათლათ გვეუბნება, რამდენათ სახიფათოა ასეთი ნაბიჯი. მიუხედავათ იმისა, რომ უკრაინელები რუსის ერს ძალიად ენათესავებიან, იმათ აქტიურმა გამოსვლამ ყველგან დიდი გაუგებრობა გამოიწვია და ზოგს ადგილას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში არევ დარევა შეიტანა. რაღა უნდა ითქვას ამიერკავკასიის შესახებ, სადაც ეროვნებათა ურთიერთობა ისედაც გამწვავებულია, როცა ზოგიერთი ერები უკვე იარაღს ისხამენ და მით საერთო პანიკას ნიადაგს უმზადებენ. ასეთ პირობებში ეროვნული საკითხის თუნდაც აკადემიური სახით წამოყენებას წინ უთუოთ ეროვნებათა წინასწარი შეთანხმება უნდა უძღოდეს. ჩვენც ამ გზით მივდივართ და როგორც სჩანს ასეთივე პოლიტიკას აწარმოებს ამიერ კავკასიის კომიტეტიც.

ჩვენი უმთავრესი მიზანია რევოლიუციის საბოლოო გამარჯვების უზრუნველყოფა. ამ მიზნით ჩვენ მხარს დაუჭერთ ამიერ კავკასიის დროებითი მთავრობის ყველა ნაბიჯებს, რომელიც შეთანხმებული იქნება მთავარი რევოლიუციონური ორგანოების გამოსვლებთან. ასეთი შეთანხმება საუკეთესო თავდებია რეაქციონებთა საბოლოო ალაგმვის და დემოკრატიული რესპუბლიკის დამკვიდრებისა.

## კადეტების საგარეო პოლიტიკა.

რევოლიუციამ კადეტების პარტია აიძულა მარცხნით გადახრილიყო და თავისი პროგრამის ზოგიერთი მუხლი უარეყო. კონსტიტუციონალ მონარქისტები დროთა ბრუნვის გამო უცბათ რესპუბლიკანელები შეიქნენ. კადეტების წინაშე ცოცხალი ფაქტი ალიმართა. ხალხმა ნიკოლოზ II ტახტიდან ჩამოაგდო და ყველგან დემოკრატიული რესპუბლიკა მოითხოვა; კადეტებიც იძულებული არიან ხალხის მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიონ და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების იდეიას ძალა უნებურათ შეურიგდენ. რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ კადეტები, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ისევ ძველ პროგრამას არ დაუბრუნდებიან. პოლიტიკაში მუდმივი ქანაობა, ლიბერალთა საერთო სენია. ამის ნიშნები უკვე გამოსჩანს.

რუსეთის დემოკრატიამ დაპყრობითი პოლიტიკა უარყო და უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი მოითხოვა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭომ დროებითი მთავრობაც აიძულა საქვეყნოთ უარეყო იმპერიალისტური ტაქტიკა და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი მოითხოვა. რევოლიუციონური ძალთა განწყობილება პირდაპირ უკარნახებდა დრ. მთავრობას ან მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოს ტაქტიკა მიეღო, ანდა გადამდგარიყო. მან პირველი აირჩია და მით ლიბერალების უმრავლესობისგან შემდგარმა დრ. მთავრობამ სავალდებულოთ გაიხადა საგარეო პოლიტიკაში დემოკრატიული ტაქტიკის დაცვა.

მით უმეტეს სავალდებულოა ეს კადეტებისათვის, რომელთა ცნობილი ლიდერი პ. მილიუკოვი გარეშე საქმეთა მინისტრია და საგარეო პოლიტიკას ხელმძღვანელობს. მარა როგორც სჩანს მინისტრი მილიუკოვი და კადეტები რუსეთის დემოკრატიის სურვილსა და გადაწყვეტილებას არ ემორჩილებიან და ძალით თავზე მოხვეულ ვალდებულების უარყოფას ცდილობენ.

კადეტები ცნობილი იმპერიალისტებია. ამ საკითხში ისინი მეფის მთავრობასთან ერთად მიდიოდენ და ხშირათ კიდეც აჭარბებდენ მას. „კონსტანტინოპოლი თავისი სრუტეებით, რუსეთის არსებობის საკითხს შეადგენს, პეტრე დიდიდან დაწყებული დღემდის იგი მის დაპყრობაზე ოცნებობდა და აი ეხლა დადგა ჟამი, როცა მან თავისი ისტორიული მიზანი უნდა განახორციელოს", სწერდა იმის პირველ ხანებში, ცნობილი ლიბერალი თავ. ევ. ტრუბეცკოი. ამასვე იმეორებდენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე კადეტებიც. მილიუკოვმა მომავალი რუსეთის ქარტაც კი გამოიმუშავა და შიგ გალიცია, კონსტანტინოპოლი და სომხეთი შეიტანა.

ნიკოლოზ მეორის პოლიტიკამ კადეტების იმპერიალისტური გეგმა ჩაფუშა, რუსის ჯარმა მეფის ხელმძღვანელობით სასტიკი დამარცხება განიცადა, დაპყრობის მაგიერ, საკუთარიც დაკარგა. მიუხედავათ ამისა ლიბერალები მაინც თავისას არ იშლიდენ და „ომს ბოლომდის" მოითხოვდენ. მათ მეფის მთავრობასთან ერთად უარყვეს შეერთებული შტატების საზავო წინადადება.

რევოლიუციამ იმპერიალიზმის მოწინააღმდეგე კლასი—მუშათა დემოკრატია გაბატონა. უნდა გვეფიქრა, რომ კადეტები ეხლა მაინც უარყოფდენ თავის „ისტორიულ მისიას". უკანასკნელ სიეზდზე, რომელზეც კადეტები რესპუბლიკანელებათ მოინათლენ, მათ დაადგინეს: „აწარმოვონ ომი სრულ გამარჯვებამდის, სანამ დემოკრატიულ სახელმწიფოთა კავშირი არ დაამარცხებს რეაქციონურ-მონარქიულ სახელმწიფოთა კავშირს".

ესევე განუცხადა მილიუკოვმა 23 მარტს პრესის წარმომადგენელთ, რამაც რევოლიუციონურ წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ტრუდოვიკი მინისტრი კერენსკი იძულებული იყო საჯაროთ განეცხადებია, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ გამოთქმული აზრი მილიუკოვის პირადი შეხედულებაა და არა მთელი მთავრობისო.

27 მარტს, დროებითმა მთავრობამ ოფიციალურათ მიიღო მუშათა და ჯარისკაც. დეპ. საბჭოს შეხედულება ომზე და დეკლარაციაში საქვეყნოთ განაცხადა, რომ რუსეთი მიზნათ არ ისახავს სხვა ერთა უფლებების ფეხქვეშ გათელვასა და დამორჩილებასო. ამის შემდეგ უნდა გვეფიქრა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი ბ. მილიუკოვი დრ. მთავრობის საერთო დადგენილებას დაემორჩილებოდა და თავის „პირად შეხედულებების" საჯაროთ გამოთქმას თავს გაანებებდა. ესევე ევალება კადეტებსაც მას შემდეგ, რაც რომ ისინი მთავრობის პარტიათ გადაიქცენ, მარა, როგორც სჩანს ისინი მაინც თავისას არ იშლიან და იმპერალისტურ გეგმას აყენებენ. სამი დღის წინ გარეშე საქმეთა მინისტრი ბ. მილიუკოვმა მოსკოვში კადეტების პარტიის კრებაზე სთქვა: „მთავრობის დეკლარაცია არ ნიშნავს მოკავშირეების მოვალეობის უარისყოფას. სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის საკითხი დაკავშირებულია ომის შედეგთან და ომის მიხედვით გადაწყდება. თუ გავიმარჯვეთ გერმანიიდან აუცილებლათ მოვითხოვთ კონტრიბუციის სახით განადგურებული ადგილების ხარჯის აღდგენას და სხვაო".

მოკლეთ მილიუკოვი და კომპანია ქადაგებს და აქეთებს წინაღმდეგ იმისა, რაც რევოლიუციონურმა რუსეთმა და დრ. მთავრობამ დაადგინა და მიიღო. მილიუკოვი კიდევ უფრო შორს მიდის და რევოლიუციონური ძალების დასუსტებას, მოკავშირეს ხელმწიფოების დახმარებით ლამობს.

„მოკავშირეთ ეშინიათ აგრეთვე აგრარული მოძრაობისა“, განაცხადა იმავე კრებაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა. სულ თვენახევარია, რაც რომ მილიუკოვმა მინისტრის პორტფელი ჩაიბარა და ამ ხნის განმავლობაში სამჯერ გადადგა დემოკრატიის წინააღმდეგ ნაბიჯი.

მინისტრმა მილიუკოვმა კარგათ იცის თუ რას ნიშნავს პასუხისმგებელი სამინისტრო. ამიტომ მას ორში ერთი დარჩენია. ან თავი მორჩილოს რევოლიუციონური დემოკრატიისა და დრ. მთავრობის საერთო პოლიტიკასა, ან და დასტოვოს სამინისტრო და პირადი პოლიტიკა აწარმოვოს. აქ სხვა გზა არ არის.

# მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გაერთიანება.

თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა წრეებში დღეს მორიგ კითხვათ დგას მუშათა და ჯარისკაცების საბჭოების გაერთიანება.

მუშათა დეპუტატების საბჭომ და აღმასრულებელმა კომიტეტმა ის ერთხმათ მიიღო. ჯარისკაცთა რაიონული ორგანიზაციებიც ამ აზრს ადგიან. მხოლოდ ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში უწევენ მას ზოგიერთები წინააღმდეგობას. მათ ვერავითარი პრინციპიალური მოსაზრება ვერ მოუყვათ თავის პოზიციის დასაცავათ. დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ დაბოლოს ისინიც იძულებული გახდებიან სალი მოსაზრებისა და საერთო ინტერესების წინაშე ქედი მოიხარონ და გათიშვის დროშა ძირს დაუშვან.

ორმა მთავარმა ძალამ გადასწყვიტა ბედი რუსეთის რევოლიუციისა: მუშათა კლასმა და ჯარმა. პეტროგრადის ქუჩებზე განმტკიცდა ის ერთობა რევოლიუციონური პროლეტარიატისა და ჯარის, რომლის მოწამე ჩვენ ვართ და რომელმაც დიდზე უდიდესი ნაყოფი გამოიღო.

27 თებერვალს, როცა ჯერ კიდევ რევოლიუციის ბედი გამორკვეული არ იყო, როცა ძველი და ახალი რუსეთი ქუჩებში ბრძოლას აწარმოებდა, შესდგა მუშათა და სალდათების დეპუტატთა საბჭო. მუშებმა და რევოლიუციონურმა ჯარმა ქუჩის ბრძოლის პროცესში სისხლით შექმნილი ერთობა ორგანიზაციულ ფორმაში ჩამოასხეს და მთლიანი რევოლიუციონური ორგანოს გარშემო იწყეს შემოკრება. სახელმწიფო დუმა გადაიქცა მის სადგომათ და მთელი რუსეთის დემოკრატიის ყურადღების ცენტრათ. გამარჯვებულ რევოლიუციას თითქო ამ ფაქტით უნდოდა ეთქვა, რომ სამი ივნისის დუმა, რაგინდ მორჩილი იყოს იგი რევოლიუციის, ვერ იქნება ხალხის სურვილებისა და მოთხოვნილებათა გამომხატველი.

პეტროგრადის მაგალითს შემდეგ დანარჩენმა ქალაქებმაც მიბაძეს და მოკლე დროში თითქმის ყველგან შეიქნა რევოლიუციონური ხალხის ორგანოები მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სახით.

მარა პირველობა და მეთაურობა როგორც რევოლიუციის დასაწყისში, ისე შემდეგ დღეებშიც პეტროგრადის მუშებსა და ჯარს შერჩა. ფართე საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ იცის, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის რევოლიუციის განვითარება-გაღრმავების საქმეში პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს. ისტორია ამას შემდეგში მოფენს სრულ სინათლეს და რუსეთის ძლიერი ხალხიც კიდევ მეტი პატივისცემის გრძნობით გაიმსჭვალება თავისი მეთაურის და რევოლიუციის ინტერესების მედგარი დარაჯის მიმართ. მარა ხალხი, დემოკრატია დღესაც გრძნობს, რომ რევოლიუციის ციხე-სიმაგრე— ეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებია.

ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უამორგანიზაციოთ რუსეთის ხალხი იმის ნახევარსაც ვერ შეიძენდა, რაც ახლა მოეპოვება მას. არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ ბურჟუაზიას აშკარათ სურდა კონსტიტუციონური მონარქიის დამყარება, რომ ის არ ფიქრობდა სრული დემოკრატიის გამეფებაზე და ძველი წყობილების ნაშთებთან ბრძოლაში არ სურდა ეხმარა რადიკალური ზომები. და თუ მოხდა ის, რაც არ სურდათ ბურჟუაზიულ წრეებს—ამას უნდა ვუმადლოდეთ იმავ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

ეს საბჭო არის ბლოკი რევოლიუციონური დემოკრატიის, ნაკარნახევი ბრძოლის ინტერესებით.

რევოლიუცია არ დამთავრებულა, პირიქით, მთავარი ბრძოლა მომავალში მოგველის, კონტრრევოლიუციის საფრთხე მუდამ დღე წინ გვიდგას.

აი რისთვის არის საჭირო, რომ რევოლიუციონურ ხალხს ქონდეს ერთი მთლიანი ორგანიზაცია და განსაზღვრული პოლიტიკური ნება.

ცხოვრებამ დაამტკიცა მიუცილებელი საჭიროება პროლეტარიატისა და ჯარისკაცთა საერთო რევოლიუციონური ორგანოსი.

ამ ძალების მოთხოვნილების წინაშე ქედი უნდა მოიხაროს ყოველმა კერძო მოსაზრებამ.

# პროფესიონალური კავშირები.

ძველი რეჟიმის დაცემასთან ერთად მოისპო ის სულშემხუთველი პირობები, რომლებიც მუშათა პოლიტიკური და პროფესიონალური კავშირების დაარსებას ხელს უშლიდა და გასაქანს არ აძლევდა.

ამიერიდან კრებისა და კავშირების სრული თავისუფლება დამყარდა. ყველა დარგის მუშებს, ყველა პროფესიაში მომუშავეთ განურჩევლათ სქესისა და ეროვნებისა შეუძლიათ პროფ. კავშირი მოაწყონ და ამ გზით თავიანთ ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები დაიცვან. ეკონომიურ ნიადაგზე შეკავშირება მთავარი საშვალებაა, რომლის მეოხებითაც პროლეტარიატი თავის უმწეო მდგომარეობას იუმჯობესებს. ეჭვს გარეშეა, პროფესიონალური ორგანიზაცია მუშათა კლასის უძლიერესი იარაღია, რომლის მეოხებით მუშათა კლასი თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას იუმჯობესებს. ეკონომიურ პირობების შეერთებული ძალით მოწესრიგება პოლიტიკური აქტის ხასიათს ღებულობს. სრული ჭეშმარიტებაა, როცა კარლ მარქსი ამბობს, რომ ყოველი ეკონომიური ბრძოლა ამავე დროს პოლიტიკური ბრძოლა არისო.

რვა საათის სამუშაო დროს დაკანონება უდიდესი პოლიტიკური აქტია, რაც თავის დროზე კარლ მარქსმა აღნიშნა. განა მარტო სამუშაო დროს შემცირებ? ყოველგვარი ეკონომიური გაუმჯობესება მუშათა კლასს საშვალებას აძლევს ფიზიკური, ეკონომიური და კულტურული გადაგვარება თავიდან აიცილოს და შექმნას ისეთი პირობები, რომლის მეოხებითაც ის დროს შესაფერ საზოგადოებრივ ორგანიზმს წარმოადგენს.

მხოლოდ შეკავშირებით შეუძლია მუშათა კლასს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება. ბურჟუაზია დიდი ხანია შეკავშირებულია; მას დიდი ხანი აქვს ტრესტები და კარტელები, სამრეწველო კავშირები, რომლის მეოხებითაც ისინი მუშათა კლასს სასტიკ ბრძოლას უწევენ და მათ საშუალებას არ აძლევენ თავიანთი მდგომარეობა გაიუმჯობესონ.

ასეთ პირობებში თითეული დარგის მუშები ვერას გახდებიან. კაპიტ. წინააღმდეგ საჭიროა ფართო ეკონომიური კავშირები, ფართო ეკონომიური ორგანიზაციები, რომლის მეოხებითაც მათ შეს ფერ ბრძოლას გაუწევენ. სხვადასხვა პროფესიის მუშები ადგენენ კავშირებს, ერთდებიან ორგანიზაციულათ, მაგრდებიან ეკონომიურათ და ამ გზით ქმნიან შესაფერ საწინააღმდეგო ძალას.

სწორეთ დღეს ამ საერთო რევოლიუციის ქარტეხილში, როცა მსოფლიო ომის სიდუხჭირემ მთელი მუშათა კლასი წარმოუდგენელ ეკონომიურ გაჭირვებაში ჩააგდო, პროფესიონალური კავშირების შედგენა მუშათა კლასისათვის უძლიერესი იარაღი იქნება. ამიტომაც არის მთელს რუსეთში ამ ჟამათ პროფესიონალური კავშირები სოკოსავით მრავლდება, ყველა დარგის მუშები კავშირებს ადგენენ და მედგრათ ირაზმებიან. მალე პეტროგრადში სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელთა ყრილობა გაიმართება. აქ თავს მოიყრიან სხვადასხვა დარგის მუშების ხელმძღვანელები და პროფესიონალურ კავშირთა გაძლიერებას შეუდგებიან.

პროფესიონალურ კავშირთა დაარსება და ხელმძღვანელობა უპირველესათ მუშათა დეპუტატების საბჭოებმა უნდა იკისრონ.

# დეპეშები.

(პ. დ. ს. 12—13 აპრ.)

**მომრიგებელი კამერები.**

**მოსკოვი.** 11 აპრილი. მუშათა დეპ. საბჭომ გადაწყვიტა დაარსოს მომრიგებელი კამერა, რომელშიც შევა მუშების მხრიდან 10 წარმომადგენელი და ხაზეინებიდან—10.

**აფიცერთა სიეზდი.**

**პეტროგრადი.** 11 აპრ. აფიცერთა დეპ. საბჭომ დაადგინა 8 მაისისთვის პეტროგრადში მოიწვიოს აფიცრების, ექიმებისა და სამხედრო მოხელეთა დეპუტატების სიეზდი.

**ფრონტის წარმომადგენელთა სიეზდზე.**

**მინსკი.** 11 აპრ. სიეზდზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოწინავე პოზიციიდან მოსული სალდათის სიტყვამ, რომელმაც სთქვა: ჩვენ იქ სანგრებში აღტაცებაში მოვყავდით თავისუფლების შესახებ ცნობებს, მარა როგორც კი გავიგონეთ ლოზუნგი: „ძირს ომი“, მაშინვე ვიფიქრეთ, ეს ან ღალატია, ანდა ძველი მთავრობის პროვოკაცია. ჩვენ გვინდა საპატიო ზავი. მთელმა რიგმა ორატორებისამ მოითხოვეს შეტევითი ომის დაწყება. ისინი ამბობდენ—თავდ სხმით შინაური მტერი დავამარცხეთ, ამ გზითვე დავამარცხებთ გარეშესაცო. შემოდის წინადადება ამ კითხვის შესახებ მიიღონ პეტროგრადის თათბირის რეზოლიუცია უცვლელათო. შემოაქვთ შესწორებანი, რის გამო რეზოლიუციის კენჭისყრა გადაიდო.

**დეზერტირების მიტინგი.**

**ბაქოთ.** 10 აპრ. ალექსანდროვის ბაღში მოხდა დეზერტირების მიტინგი. ილაპარაკეს მუშათა დეპ. საბჭოს წარმომადგენლებმა და დეზერტირებმა. კრებამ დაადგინა: აირჩიონ განსაკუთრებითი კომიტეტი, რომელიც დეზერტირთა საქმეს უხელმძღვანელებს და მიმართავს შუამდგომლობით ჯარის უფროსს, დანიშნოს დაბრუნებული დეზერტირები ჯარის ახალ ნაწილში, რომ ამით ადვილათ იქნეს წარსული დავიწყებული. აღიძრას შუამდგომლობა, რომ დეზერტირთა ოჯახებსაც ეძლეოდეს ჯამაგირები.

# წითელი ყვავილები.

არწივის ფრთები შევისხი, შორს მივჭრი, მივისწრაფები,
მომავალის წიაღს ეძსოვეს ოცნების ნაზი ძაფები,
რომ ძმობის ტურფა წალკოტში, სადაც სჩქეფს წყარო შვებისა,
დავკრიფო სხივთა ყვავილი—სიმბოლო გამარჯვებისა,
ყვავილი სულში ამგზნები რწმენა და სასოებისა,
ყვავილი მარად უჭკნობი, მომფენი უკვდავებისა,
ყვავილა—მებრძოლთ ოცნება და ძეგლი განწირულების,
სხივთა გვირგვინი ნათელი უდროოთ დამარხულების!

შორს, აწმყოს მთების გადაღმა, მხარეა ნათელ მზიანი,
მისკენ მიიწევს მებრძოლსა ბილიკი ნარ-ეკლიანი;
გზა და გზა შავი ზღუდენი პირქუშათ აღმართულია,
და მათ გარშემო ავ-სულთა ლაშქარი ჩასაფრულია;
მათ არ იციან დანდობა, მსხვერპლთა სისხლს ეწაფებიან,
ჩაგრულთა კვნესა-ვაებით და ცრემლთა ჩქერით ძღებიან,
რიდეს აფენენ მომავალს, სინათლეს ემტერებიან,—
და ვინც გაჰბედავს მისკენ სვლას, სამსხვერპლოთ ეძგერებიან...
მრავალთა სისხლით მოირწყო გზა მომავლისკენ სავალი,
მრავალს ჩაუქრეს ყოფნის მზე ციმციმით ამომავალი...
მაგრამ მომავლის შვილები ბნელ ძალას არ უდრკებიან,
კვლავ წინ ილტვიან გულ-მედგრათ, მჩაგვრელებს ეომებიან!..

და ჰა თქვენ გიძღვნით, გმირებო, თაიგულს ყვავილებისას—
განწირულთათვის არ ვსტირი, გვარგვინს ვსწნავ უკვდავებისას!—
სიმებათ ვაწყობ ჩანგზე სხივს მომავლის ვარსკვლავებისას,
ავსულთა გულის დამთუთქველ ჰიმნს გიმღერთ გამარჯვებისას!

**ობოლი მუშა.**

**გლეხთა კავშირის მოწოდება.**

**პეტროგრადი.** 11 აპრილი. სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის უმთავრესმა საორგანიზაციო კომიტეტმა მიმართა მოწოდებით გლეხობას, ჯარსა და ფლოტს, სადაც სწერენ: დაიცავით სამშობლო გარეშე მტრისაგან და მოპოვებული თავისუფლება შინაურისაგან. გლეხ-სალდათებს მესამე მოვალეობა აქვთ—დაიცვან გლეხთა უფლებებიც. იცოდეთ, რომ სოფელში უთქვენოთ მიწას არ დაყოფენ. აგრარულ საკითხს საბოლოოთ დამფუძნებელი კრება გადაწყვეტს, რომელშიაც მონაწილეობას ჯარის წარმომადგენლებიც მიიღებენ.

**კომისრების დანიშვნა ფრონტზე.**

**პეტროგრადი.** 11 აპრ. ფრონტის დელეგატების კრებამ მიმართა წინადადებით მუშათა და ჯარის კაც. დეპ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს თანახმათ 10 აპრილის სხდომის გადაწყვეტილებისა გაგზავნოს თითო კომისარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უკან თავის ნაწილში არ დაბრუნდებიან. კრებამ დაადგინა—გაუქმდეს საველე-სამხედრო სასამართლოები.

**რკინის გზაზე მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესება.**

**პეტროგრადი.** 11 აპრ. მოხდა გზათა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებითი საბჭოს თათბირი, რომელმაც მსჯელობა იქონია რკინის გზებზე მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ. საბჭოში შედიან სამინისტროს 5 წარმომადგენელი, 5 რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირის მიერ არჩეული და 5—მუშ. და ჯარ.-კ. დეპ. საბჭოსაგან, თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს გ. პლეხანოვი.

— გზათა მინისტრმა ნეკრასოვმა შუამდგომლობა აღძრა დროებით მთავრობის წინაშე მიეცეს მას 60 მილიონი მან. სანაოსნო გზებზე მოსამსახურეთა პირობების გასაუმჯობესებლათ.

**წყალდიდობა.**

**ტაგანროგი.** 10 აპრ. ტაგანროგის ოლქის მთელი რიგი სოფლებისა წყალდიდობის გამო განადგურდა. ზარალი 1 მილიონ მანეთს უდრის.

**ჩხეიძის, წერეთლისა და სკობელევის სიტყვის გავრცელება.**

**მინსკი.** 11 აპრ. ფრონტის წარმომადგენელთა სიეზდმა მიიღო საესებით პეტროგრადელთა რეზოლიუცია 610 ხმით 7 წინააღმდეგ, 16 თავი შეიკავა. გადაწყდა: რეზოლიუციები და აგრეთვე ჩხეიძის, წერეთლისა და სკობელევის სიტყვები დაბეჭდონ და გაავრცელონ ფრონტზე ჯარში.

**გლეხთა სიეზდი.**

**პენზა.** 11 აპრ. გლეხთა სიეზდი დასრულდა. ერთხმათ მიიღეს მიწის სოციალიზაცია, დემოკრატიული რესპუბლიკა და შეუერთდენ მუშათა და ჯ. კ. დეპ. საბჭოს რეზოლიუციებს. შედგა საგუბერნიო გლეხთა საბჭო. დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული კომისარები დასცვალეს და მათ მაგიერ ახლები აირჩიეს. დაატუსაღეს თავად-აზნაურთა საგუბერნიო მარშალი.

**8 საათის სამ. დღე.**

**სამარა.** 10 აპრ. ზოგიერთ სამრეწველო დარგში შემოიღეს 8 ს. სამუშაო დღე.—გადაწყდა მოახდინონ საგუბერნიო ერობის რეორგანიზაცია დემოკრატიულ ნიადაგზე.

**ლიტველთა სიეზდი.**

**მინსკი.** 12 აპრ. ლიტველთა სარაიონო სიეზდმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: შემოღებული იქნეს ლიტვაში ფედერატიულ-დემოკრატიული თვითმართველობა. ნდობა გამოუცხადონ ლიტვის ხალხთა საბჭოს და სხ.

**ხოც. რევოლ უციონერების დადგენილება.**

**ბლაგოვეშჩენსკი.** 12 აპრ. ამურის სოც.-რევ. ჯგუფმა დაადგინა მიმართონ მოწოდებით მშრომელი ხალხის ყველა წრეებს გადასდონ ომის გათავებამდის ეკონომიური მოთხოვნილებათა წაყენება, რომლებიც კი იწვევენ გაფიცვებს.

**საფრანგეთის წარმომადგენლები დრ. მთავრ. კრებაზე.**

**პეტროგრადი.** 10 აპრილი. დროებითი მთავრობის კრებაზე მარინის სასახლეში გამოცხადდა საფრანგეთის მინისტრი ალბერტ ტომა და ელჩი პალეოლოგი. სხდომა შეწყდა. ტომამ სიტყვით მიმართა მინისტ-პრეზიდენტ თავ. ლვოვს. მან განაცხადა: დღეიდან ბედნიერათ ვთვლი თავს თავისუფალ რუსეთში; მომავალში აღარაფერი შეუშლის ხელს საფრანგეთსა და რუსეთის მჭიდრო შეკავშირებას. მას უპასუხა გარეშე საქმეთა მინისტრმა მილიუკოვმა, რომელმაც ის აზრი გაატარა, რომ ორ დიად დემოკრატიულ ქვეყნების მთავრობათა ურთიერთ დაახლოვებას წინ არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზები აღარ ელობებიანო.

**ბრანტინგის აზრი.**

**სტოკჰოლმი.** 10 აპრილი. ბრანტინგმა და რიუდონმა მოხსენება გააკეთეს რუსეთში მოგზაურობის შესახებ; მომხსენებლები ამტკიცებენ, რომ რევოლიუცია უზრუნველყოფილია, დემოკრატიის გამარჯვება აშკარაა, სეპარატიული ზავი შეუძლებელია. მილიუკოვი მეგობრულათ ეპყრობა შვეციას. კრება ერთხმათ გუგუნებს: „გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას“.

**ჟურნალ-გაზეთებიდან.**

**პრავაკატორების გასამართლება.**

პრავაკატორების გასამართლების კითხვა გადაჭრილათ უნდა ჩაითვალოს. გამომუშავებულია დროებითი დებულება, რის მიხედვით უნდა დაისაჯონ პრავაკატორები და ჟანდარმერიის „თანამშრომლები“. სათითაოთ გაეგზავნებათ სასამართლოში მიწვევის უწყება. დაუსწრებლობის გამო საქმის გარჩევა არ გადაიდება. სასამართლოს შეადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და ნაფიცვექილთა საბჭოს წარმომადგენლები. სასამართლო იკვლევს ყოველმხრივ და გამოაქვს დადგენილება. ფულის გულისთვის მომქმედ პრავაკატორს მოელის მოქალაქეობრივ უფლების ჩამორთმევა, საზოგადოდ უნდობლობის გამოცხადება. სინიდისის სასამართლოს დებულება დამტკიცდება მთელი რუსეთისათვის.

მოეწყო განსაკუთრებული ბიურო, რომელიც საჩქაროთ იხილავს „ოხრანკის“ და ჟანდარმთა სამმართველოების არხივების საბუთებს. მალე გამოქვეყნდება კიდევ ახალი სია. აღმოჩნდა აუარებელი თხოვნა სხვადასხვა პროფესიის ხალხისაგან შეტანილი „თანამშრომლობის“ შესახებ; „სამარცხვინო შკაფში“ იპოვნეს თხოვნები ხელზე მოსამსახურეებისა, მოწაფეების, მუშების, მეეტლეების, ინტელიგენტების და სხვათა. არის თხოვნები 26 თებერვლის თარიღით, რევოლიუციის წინა დღით, სიებს იხილავენ დიდის სიფრთხილით, რომ რაიმე შეცდომა არ მოხდეს. მხოლოდ ნამდვილი საბუთების მიხედვით გამოცხადდება სია. მოსკოვიდან გაქრა რამოდენიმე პიროვნება. ეძებენ „ოტპუსკს“ და მიიჩქარიან... დასასვენებლათ.

ერთი პრავაკატორი ე. მ. ბოროვიკოვი დაატუსაღეს, ისიც „დასასვენებლათ“ ემზადებოდა. პრავაკატორებს მოელის გასამართლება, მანამდის იმათ საერთო ზიზღი დაიმსახურეს.

**ვასილი ჩერნიგოველელის დატუსაღება.**

ქ. ჩერნიგოვში დაატუსაღეს ჩერნიგოვის და ნეჟანის მთავარი ეფისკოპოსი, სინოდის წევრი ვასილი და მიიყვანეს პეტროგრადში. სინოდი ამის გამო პროტესტს აცხადებს და მოტივათ ის მოყავს, რომ სინოდის წევრის დატუსაღება პირველი მოვლენაა და თანაც შეუწყნარებელი, რადგან სინოდის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია. მთავარ ეფისკოპოზს ვასილის ბრალდება დუმის საარჩევნო ორგანიზაციის მოწყობა ჩერნიგოვის ყოფილ გუბერნატორ მაკლაკოვთან ერთათ.

**მოსკოვის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დადგენილება.**

მოსკოვის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მარტში გამოტანილი რეზოლიუცია ჟანდარმერიისა და პოლიციელების ფრონტზე გაგზავნის შესახებ უარყო და ახალი რეზოლიუცია გამოიტანეს, რომელშიც ისინი აღმასრულებელ კომიტეტიდან თხოულობენ, რომ ყველა ჟანდარმები და პოლიციელები დატუსაღებულ იქნან.

ჯარისკაცთა დეპუტატების პრეზიდიუმი თხოულობს აგრეთვე, რომ გმირებმა სამხედრო ჩვეულება მოიხადონ.

**პეტროგრადის ქუჩების სახელების გამოცვლა.**

პეტროგრადში განზრახვა აქვთ სასახლის მოედანს 28 თებერვლის მოედანი უწოდონ, სასახლის ხიდს—თავისუფლების ხიდი, მიხეილის ქუჩას—ძმობის ქუჩა და ალექსეევის ქუჩას—განახლების ქუჩა.

**დემოკრატიულ-რესპუბლიკანური პარტია.**

პეტროგრადში შემდგარა დემოკრატიულ-რესპუბლიკანური პარტია. პარტიის პროგრამის ძირითად პრინციპს ფედერატიული რესპუბლიკა შეადგენს. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს ბაზუნოვი, ბარიშნიკოვი, გლებოვი, დიმიტრიუკოვი, ივანოვი, მორგულიესი და ერენშტრემი.

# დეპეშები.

(საკ. კორესპ.)

**კამკასიის ფრონტიდან.** 25 მარტს, ბარტაზის რაიონში, ჯულფა ბაქოს რკინის გზის ყველა მოსამსახურეებმა, საზოგადოების ყველა კლასებმა და ჯარისკაცებმა მიტინგი მოახდინეს. დასახელებულ მიტინგზე სოციალდემოკრატების ლოზუნგები მიიღეს და ჩხეიძესა და რიდზიანკოს მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს. აირჩიეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. საჭიროა ცენტრალურ კომიტეტთან კავშირი. ჩვენი ადრესი: „კატაროს ქარხნები“, ყარაზაშვილი.

**იოსებ ქაჭეიშვილი.**

**იქიდანვი.** განუსაზღვრელ სიხარულით ვეგებებით ძველი რეჟიმის დამხობას და ინტერნაციონალური სოციალდემოკრატიის დახმარებით გვსურს ომის გათავება და ყველა ერის თანასწორობა.

**იოსებ ქაჭეიშვილი და გიორგი ფიცხელაური.**

# ახალი ამბები

**მეორე რაიონის კრება.** დღეს პარასკევს 14 აპრილს საღამოს 5 საათზე ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია თფილისის ს. დ. ორგანიზაციის მეორე რაიონის წევრთა კრება (რომელშიდაც შედის 1, 2, 3, 4, და 5 უბანში მცხოვრები ამხანაგები). ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ კრებაზე. აქვე მოხდება ახალა წევრების ჩაწერა.

✦ **პირველი რაიონის კრება.** დღესვე ნაძალადევის სახალხო სახლში საღამოს 5 საათზე მოხდება თფილისის სოც. დემ. ორგანიზაციის პირველ რაიონის (მეთერთმეტე და მეთორმეტე უბანი) კრება. ამხანაგებს სთხოვენ კრებაზე თავის დროზე მოვიდენ.

✦ **მუშათა დეპ. საბჭომ** წინადადება მისცა მბეჭდავთა კავშირს—აცნობოს ამით ამწყობთ, რომ დადგენილია: არ ააწყონ ახალი გაზეთი „ხალხის ერთობის“ სათაურით.

✦ **ქალაქის მილიციის** განკარგულებით სასტიკი თვალყურის დევნება დაწესდა კლუბებში, სასტუმროებში და კერძო სახლებში ბანქოს თამაშის შესახებ; ვისაც დაიჭერენ, ფულს ჩამოართმევენ აღმასრულებელი კომიტეტის სასარგებლოთ და მოთამაშეს კი გაზეთში გამოაცხადებენ.

✦ **კავშირის დაარსება.** თფილისში შესდგა ტექნიკოსების კავშირი, პრეზიდიუმში შედიან—კაჩაროვსკი, ლემანი, ლეჟავა, ჭყუასელი, გუგუშვილი, ვოლკოვი და ხარიტონოვი.

✦ **სესხის აღება.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ნება დართო ქალაქის თვითმართველობას აიღოს სამი მილიონი სესხი მოკლე ვადიანი ვალების დასაფარავათ.

✦ **შემოწირულება.** თფილისის მილიციის უფროსმა მიიღო ი. ა. ტ—ისაგან ორასი თუმანი და თხოულობს 800 მანეთი მოხმარდეს ქალაქის მილიციის საჭიროებას, ხოლო 1200 მანეთი გადაეცეს სოციალდემოკრატიულ პარტიის საოლქო კომიტეტს.

✦ **მოთხოვნილების წაყენება.** ტრამვაის კანტორების მოსამსახურეებმა თვითმართველობას მოთხოვნილება წარუდგინეს ჯამაგირის მომატების შესახებ. საქმე გადაეცა მისიას.

✦ ფეხსაცმელებზე ახალი ნიხრი... და. ქალის ან ვაჟის ტუფლი 35 მან., სამუშაო 40 მანეთი.

◆ **თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი** თხოვს თავის წევრებსა და საუბნო სასურსათო კომიტეტების წარმომადგენელთ დაესწრონ 14 აპრ. პარასკევს საღამოს 7 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში სხდომას.

◆ **თფილისის ორგანიზაციების საყურადღებოთ.** თფ. მუშათა დეპ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს პროფესიონალურ კავშირთა გამგეობებსა და თფილისში ყველა არსებულ ორგანიზაციებს დაუყონებლივ აცნობონ საბჭოს თავისი ადრესები, რათა ამით გაადვილდეს ერთმანეთ შორის კავშირის აღდგენა.

◆ **დათიკო ხულიაშვილი** (დ. ლიხელი), რომელიც დღემდე ჟენევაში ცხოვრობდა უკვე სამშობლოში დაბრუნდა. მას გამოუვლია გერმანიაზე ლენინის ჯგუფთან ერთად. ამავე გზით წამოსულა მასთან მიხა ცხაკაია, რომელიც ავათმყოფობის გამო პეტროგრადში დარჩენილა.

◆ **საბჭოს სასარგებლოთ.** რედაქციამ მიიღო ჰასან-კალის ჯარისკაცთაგან 75 მან. და შვიდი შაური, რაც დანიშნულებისამებრ გადაეცა მუშათა საბჭოს. შემომწირველთა სია უადგილობის გამო არ იბეჭდება.

◆ **ვლადიმერ დიანოსის ძე კალანდაძე,** რომელიც იქვით იყო დაპატიმრებული უკვე გაანთავისუფლეს ციხიდან, ვინაიდან მასზე მიტანილი ეჭვები მართალი არ გამოდგა.

◆ **დალაქთა კრება.** სამშაბათს 18 აპრილს სახელოსნო უპრავაში დანიშნულია დალაქების კრება. იმსჯელებენ დუქნების დაკეტვა-გაღების შესახებ.

◆ **თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოში.** საბჭომ განიხილა ახალციხის საქმეები, სადაც საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით სამაზრო ორგანიზაციის მეთაურათ აურჩევიათ მაზრის ყოფილი უფროსი გუდიევი და დანარჩენი პასუხსაგები თანამდებობაც ძველი პოლიციელებისათვის ჩაუბარებიათ. გადაწყდა—გაიგზავნოს ახალციხეში ამ საქმის გამოსაძიებლათ ვ. როხლინი და წინადადება მიეცეს ამიერ კავკასიის კომისარიატს—გამოსცეს ინსტრუქცია ძველი პოლიციელების სახელმწიფო და საზოგად. ორგანიზაციაში არ დაშვების შესახებ.

◆ **რევოლიუციონური ლიტერატურის სასარგებლოთ.** თანახმათ პეტროგრ. და მოსკოვის მუშათა და ჯარის კაც. დეპ. საბჭოს გადაწყვეტილებისა, პუშკინის ქუჩაზე არსებულ სასადილო „ოლიმპის“ პატრონებმა გადასწყვიტეს 16 აპრილის (კვირის) მთელი დღის ნავაჭრი გადასცენ ჯარში გასავრცელებელ რევოლიუციონური ლიტერატურის სასარგებლოთ. ფული გადაეცემა მუშათა და ჯარ. კაც დეპ. საბჭოს.

◆ **ნდობის გამოცხადება.** 4 აპრილს მოსამსახურე ფარმაცევტთა საზოგადო კრებამ ერთხმათ მიიღო: დარჩეს მათ დელეგატათ მუშათა საბჭოში ს. ჯუღელი და გამოეცხადოს მას ნდობა. კრების დავალებით კრ. თავმჯდომარე ფ. ცხომელიძე.

◆ **თფილისის მკერვალთა პროფესიონალური კავშირის საზოგადო კრება.** კვირას, 16 აპრილს დილის 9 საათზე არტისტიული კლუბის საზაფხულო შენობაში მიხეილოვის ქუჩა № 107 ვეტცელის სატუმროს გვერდით დანიშნულია თფილისის მკერვალთა კავშირის საზოგადო კრება. დღიურ წესრიგში შეტანილია: 1) წესდების დამტკიცება, 2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები და 3) მუშათა დეპუტატების საბჭოს მოხსენება, იქვე მოხდება წევრების მიღებაც. საჭიროა ყველა წევრები დაესწრონ და თავის დროზედ მოვიდნენ.

◆ **კოოპერატიულ სასადილოს წევრთა** კრება მოხდება შაბათს 15 აპრილს საღამოს 8 საათზე, სასადილოს შენობაში ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ.

◆ შაბათს, 15 ამ თვეს ნაძალადევის თეატრში ქალთა საკითხის შესახებ დანიშნულია ქალთა კრება. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

◆ **ინცინდენტი ლაზარეთში.** 11 აპრილს 26 ლაზარეთის მოსამსახურეებს სხდომა ქონდათ მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტათ. ლაზარეთის უფროსი ექიმი წინააღუდგა მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებს. ამ ნიადაგზე მოსამსახურეებსა და ექიმს შორის მოხდა ინცინდენტი. მოსამსახურეთა საერთო კრებამ სასურველათ იცნო უფროსი ექიმის გაძევება ლაზარეთიდან.

◆ **თანაგრძნობის დეპეშა ნ ს. ჩხეიძეს.** 9 აპრილს დიდუბის რაიონის მცხოვრებთა საერთო კრება მოხდა. კრებამ აირჩია რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი და შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა დეპუტატს ჩხეიძეს: ღრმა მწუხარებით აღვსილნი წრფელ თანაგრძნობას გიცხადებთ თქვენ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელოვანო ბელადო, საყვარელი შვილის სტასიკას უდროოთ დაკარგვის გამო. დეე ჩვენმა თანაგრძნობამ შეგიმსუბუქოს თქვენი მძიმე მწუხარება ამ განსაკუთრებულ ისტორიულ მომენტში, რათა განაგრძოთ თქვენი ნაყოფიერი მუშაობა კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის.

◆ 6 აპრილს სად რიონიდან სად. ბელაგორამდე მატარებელ № 10-ში ამომაცალეს 20 მანეთი ფული და უვადო პასპორტი ჯიბის წიგნაკით. ვთხოულობ მხოლოდ წიგნაკს და პასპორტს. თფილისის საბალონო სკოლა. Тифлисскій сушильный пунктъ Михаилу Д. Гадилія.

◆ თფილისის სავაჭრო მრეწველთა და საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა აცნობებს ამხანაგებს, რომ კავშირის კანტორა (სერგეევის ქუჩა № 1) ღიაა საღამოს 7—9 საათამდე. დაიჩქარეთ ჩაეწეროთ წევრებათ.

◆ **ჯარისკაცთა კრება ლანჩხუთში.** შაბათს 15 აპრილს 12 საათზე დაბ. ლანჩხუთში დანიშნულია ჯარიდან დაბრუნებულ სალდათების კრება. კრების მიზანია განიხილოს სამხედრო სადღეისო საკითხები. საჭიროა დაესწრონ ყველა ამხანაგები.

◆ **შემოწირულება.** რედაქციამ მიიღო პოლიტიკურების სასარგებლოთ ალექსანდრე ჭელიძისაგან—3 მან.

## პროვინციის ქრონიკა.

**ქუთაისი.** აქ დაარსდა გუბერნიის აგრონომთა კავშირი, რომელმაც მიზნად დაისახა დაეხმაროს მიწის მუშებს დარიგებით, თესლის მიწოდებით და სხვა. კავშირის ენერგიული შრომა და ხალხის სიყვარული დიდ ნაყოფს გამოიღებს ამ ნგრევა შენების ხანაში. გაუმარჯოს ახალ კავშირს.

— ქუთაისშივე არსდება გუბერნიის ფერშალთა და ბებია ქალთა პროფესიონალური კავშირი. დამფუძნებელ კრებას იწვევს ფერშალი ვახტანგ ჩიჩუა 23 აპრილისათვის, მუშათა დეპუტატების საბჭოს შენობაში.

**საჩხერე.** (შორ. მაზ.) საჩხერის რაიონში დიდად გახშირდა ქურდ-ბაცაცების თარეში. დღე არ გავა, რომ რომელიმე სოფელში რაიმე არ მოიპარონ, უმეტეს ნაწილათ იპარავენ წვრილ-ფეხა საქონელს და ოჯახის ავეჯეულობას. თუმცა აღმასრულებელი კომიტეტი ყოველ ზომებს ხმარობს, მაგრამ ამათო, ეს ვაჟბატონები მაინც განაგრძობენ თარეშს.

— სოფლის ხალხის უმეტესი ნაწილი დიდათ აღელვებულია სურსათ-სანოვაგის საჩხერიდან სხვა ქალაქებში გატანის აკრძალვის გამო.

როგორც იყო საჩხერე ეღირსა პურს. აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით ამ ჟამათ საჩხერეში გირვანქა პურს 13 კაპ. ყიდიან.

— ადგილობრივ კოოპერატივებს კიდევ არ მიუღიათ სიმინდი. ხალხი კი უსიმინდობით დიდ გაჭირვებას განიცდიან.

**ხად. გომი.** მთელი გომის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის აღმასრულებელი ბიურო მოთავსებულია სადგურ გომში (ბოქაულის ყოფილ ბინაზე). ბიუროში არიან არჩეული: ამხანაგი ვალიკო გოგუა, ალ. მესხი და მარქარ ხითაროვი. ბიუროს წევრები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ენერგიულადაც მუშაობენ.

**ხად. მიხაილოვი.** მიხაილოვის სადგურის მუშათა საბჭომ დაადგინა თავისი წარმომადგენლებიც გაგზავნოს ხოლმე სოფლებში სამუშაოთ.

**ხოფ. ავლევი.** (ოქონის საზოგადოება). რამდენიმე ბოროტ-მოქმედმა ღამით გასტეხეს ავლევის კოოპერატივი და გაიტანეს 5,000 მან. საქონელი. ქურდები დაატყვევეს და საქონლის ნაწილიც აღმოაჩინეს.

**გორი.** გორის სამეურნეო საზოგადოების წლიური კრება დანიშნულია 16 აპრილს. რადგანაც ის მეორეთ არის მოწვეული, ამიტომ იგი უეჭველად შესდგება რამდენიც არ უნდა დაესწროს წევრი. განსახილველია მიმდინარე საკითხები, წარსული და მომავალი წლის ხარჯების დამტკიცება.

**ერევანი.** კვირას, 2 აპრილს, ადგილობრივ გარნიზონის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების თაოსნობით გაიმართა საერთო მიტინგი, რომელსაც 7 ათასამდე კაცი დაესწრო. სოც.-დემ. ორგანიზაციის მხრით სიტყვა წარმოსთქვა გაბრიელ გოგუაძემ. დაახასიათა მომენტი და დემოკრატიის ტაქტიკა.

— შაბათს, 8 აპრილს, ქალაქის კლუბის დარბაზში, ადგილობრივ სოც.-დემ. ორგანიზაცია მართავს კრებას შემდეგი პროგრამით: გაბრიელ გოგუაძე წაიკითხავს მოხსენებას—„რა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“, არშაკ მელიქიანცი—„დამფუძნებელი კრება საფრანგეთში“ და მაკინციანი „დამფუძნებელი კრება ამერიკაში“.

## ს.-დ. პარტიის წარმომადგენელთა თათბირი გაერთიანების შესახებ.

პეტ. დეპ. სააგენტომ ამ დღეებში გადმოგვცა მოკლე ცნობა, რომ პეტროგრადში მოხდა სოც.-დემოკრატების კრება, სადაც ლენინმა გაილაშქრა ყველა სოციალდემოკრატიულ ფრაქციების პროგრამისა და ტაქტიკის წინააღმდეგ და „ძირმომპალ სოციალ-დემოკრატიული პარტიის“ მაგიერ მოუწოდა კრებას ახალი კომუნისტური პარტია დაეარსებინათ. ამ ცნობის დაბეჭდვამ ადგილობრივ ამხ. ბოლშევიკების ორგანოში წყრომის წერილის მოთავსებაც კი გამოიწვია ჩვენი გაზეთის წინააღმდეგ. ახლა ირკვევა, რომ სააგენტოს დაახლოვებით სწორი ცნობა გადმოუცია. აი კრების ანგარიშიც:

4 აპრილს შესდგა სხვადასხვა სოც.-დემოკრატიულ მიმდინარეობათა წარმომადგენლების კრება. მონაწილეობას იღებდა 117 კაცი:—50 ბოლშევიკი, 47 მენშევიკი, 17 უფრაქციო და 3 ნაციონალური პარტიების წარმომადგენელი. შემადგენლობა ასეთი იყო: სრულიად რუსეთის მუშათა და სალდათთა სიეზდის სოც.-დემოკრატიული დელეგატები, აღმასრულებელი კომიტეტის სოც.-დემოკრ. წევრები, ცენტ. კომ. და საორგანიზაციო კომიტეტის ყველა წევრები, ადგილობრივი ორგანიზაციები, ხუთ-ხუთი წარმომადგენელი „პრავდის“, „რაბოჩაია გაზეთის“, „ედინსტვოს“ და პეტ. მუშ. და სალდ. საბჭოს უწყების, ყველა სოც.-დემოკრატიული ფრაქციების დეპუტატები, ნაციონალური სოც.-დემ. პარტიების წარმომადგენლები და სხვ.

თავმჯდომარეთ აირჩიეს კ. ჩხეიძე, მდივნებათ გურევიჩი, ვოიტინსკი, ბოკანსკაია.

მოხსენება გაერთიანების შესახებ წაიკითხა მეშკოვსკიმ (გოლდენბერგი—ბოლშევიკი). მან აღნიშნა, რომ პროვინციაში დიდი სურვილია გაერთიანების, ბევრ ადგილას ძველი უთანხმოება დაივიწყეს და შეერთდნენ; მათ მენშევიკ-ბოლშევიკების მაგიერ სოციალდემოკრატები დაირქვეს. მოხსენების შემდეგ გოლდენბერგმა კრებას მოაგონა, რომ 4 აპრილს ლენის მუშები დახვრიტეს და მათი ხსოვნა ფეხზე ადგომით აღნიშნეს.

ამხ. ვოიტინსკიმ (ბოლშევიკი) აღნიშნა, რომ ბოლშევიკები უმრავლესობას შეადგენენ ურალსა და ციმბირში, ხოლო მენშევიკები დონის ბასეინში. გაერთიანების ტენდენცია იმაში მჟღავნდება, რომ 73 ადგილობრივ ორგანიზაციიდან 54 გაერთიანებული ორგანიზაციაა და არა ფრაქციული.

ამხ. ჩხეიძემ აღნიშნა, რომ დღევანდელი მომენტის უპირველესი ლოზუნგი, ეს გაერთიანებაა. ამხ. კ. წერეთელმა მიუთითა გაერთიანების ორ ფორმაზე: 1) ტაქტიკური პლატფორმის და 2) პროგრამისა და წესდების ნიადაგზე. მან განაცხადა, რომ ადგილობრივ გაერთიანება ყველგან საერთო პროგრამის ჩარჩოებში ხდება და საერთო პარტიის ფარგლებში შეიძლება ბრძოლა სხვადასხვა ტაქტიკურ შეხედულებათაო.

წერეთლის შემდეგ დიდ მოხსენებას აკეთებს უცხოეთიდან დაბრუნებული ლენინი. უადგილობის გამო მთლად ვერ მოგვყავს მისი მოხსენება, ამას სხვა დროს ვიზამთ. ლენინმა განაცხადა, რომ საჭიროა ძალა-უფლების ახლავე ხელში ჩაგდება და სოციალიზმის განხორციელებაზე ზრუნვა, საჭიროა მუშათა და სალდათთა დეპუტატების მთავრობამ გასწყვიტოს ყოველგვარი კავშირი მოკავშირეებთან და ომი დაამთავროს. მან ასე დაათავა თავისი სიტყვა: „მაგალითი ჩვენ უნდა ავიღოთ პარიზის კომუნიდან. რევოლიუცია რომც დამარცხდეს, არაფერია, გამოცდილება დაგვრჩება. ჩვენი მუშები ყველაზე წინ მიდიან. თვით დამარცხებაც კი იქნება არა დამარცხება, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვება. „სოც.-დემოკრატიული პარტიის“ სახელწოდება უნდა უკუვაგდოთ. უნდა მოეწყოს ახალი ინტერნაციონალი. **ძველი, დამპალი სახელწოდებას უნდა გამოვეთხოვოთ და დავირქვათ კომინისტური პარტია.** ჩვენ დასავლეთში კიდევ არ გვყავს მიმდევრები, ცოტა გაზეთები გვაქვს და ჩვენი მეთაურები ციხეებში სხედან. საჭიროა დავადგეთ იმ გზას, რომელსაც ციმერვალდის უკიდურესი მემარცხენეები დაადგნენ (აქა-იქ კანტიკუნტათ მოისმის ტაში).

ქ ა თ რ ბ

46

## ორგანიზაციებისა და ამხანაგების საყურადღებოთ!

**ამხანაგებო! გაიჩინეთ ყველგან საკუთარი პასუხის მგებელი კორესპონდენტი და მოგვაწოდეთ მოკლე ცნობები ყოველი მხრიდან, განსაკუთრებით მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტ საბჭოებისა და სოც.-დემ. პარტიის ცხოვრებიდან. წერილი დასწერეთ ცალ გვერდზე და გარკვევით.**

**რედაქცია.**

## ნორჩი.

ვიშ! სიცოცხლე აყვავილდა,
გალხვა გული გაყინული...
და მტარვლისგან განკიცხული,
განდევნილი—დაგვიბრუნდა...

ჩამომხმარი, ყვითელ სახე...
სუსტი ხორცით, მძლავრი სულით...
ვინც გაგზავნეს წყევლა-კრულვით,
ვისაც დაუგეს ყველგან მახე...

აყვავილდა ტურფა მდელო,
სასიცოცხლოთ ზღვა მღელვარებს...
წარსულს არვინ შეიყვარებს...
ნუ ისველებთ ცრემლით თვალებს.

ნორჩი არის, ცუგრუმელა,
შეუდრეკი, ბუმბერაზი,
გულ-კეთილი, მკაცრი, ნაზი,
მას შენატრის დღეს სულ ყველა...

აყვავილდა... აჩუხჩუხდა,
ჩამოჰბანა ყოფნას ჟანგი,
ახმატკბილდა ტრფობის ჩანგი...
ეჰ, მტარვალი შეგვიწუხდა.

ვიშ, სიცოცხლის ოქროვანსა!
ვიშ, ბუნებას განახლებულს!
ვიშ, ბრძოლაში უდროთ მკვდარსა!
ვაი, წარსულს უკუგდებულს!

**დ. მეჩონგური.**

ამ სიტყვას ღირსეული პასუხი გასცა წერეთელმა, რომელსაც დიდი ოვაციებით შეხვდნენ. მან სთქვა, მომენტის მოთხოვნილებაა გავამაგროთ მოპოებული, რომელსაც სახელათ დემოკრატიული რესპუბლიკა ქვია. ლენინის მიერ მოყვანილი ანარქიულ დემაგოგიას მან მოხდენილათ დაუპირდაპირა ენგელსის სიტყვები: „საუკეთესო საშვალება, რომელიც ჩვენ დაგვღუპავს—ეს ნაჩქარევათ ძალა უფლების ხელში ჩაგდებაა“ (ძლიერი ტაში). ნ. ლენინს კითხვაც კი არ მიუცია თავის თავისათვის მომწიფდა თუ არა პირობები მუშების და გლეხკაცობის დიქტატურისათვის. პირველ დღეებში, რომ მთავრობა ხელში ჩაგვეგდო, მალე რევოლიუცია უდიდესი დამარცხებით დამთავრდებოდა. მოკავშირეებთან დადებულ პირობების ღარღვევას მოყვებოდა ჩვენი დამარცხება გარეშე ძალისაგან. ევროპაში გამეფდებოდა ღრმა რეაქცია სოციალიზმის წინააღმდეგ, ინტერნაციონალს გაანაცარმტვერებდნენ. ჩვენ დიადი მაგალითი მივეცით დასავლეთს და ჩვენი რევოლიუცია საბოლოო მიზნისაკენ წინ გადადგმული ნაბიჯია. მარა არ შეიძლება თავი გავიმარტოვოთ მთელი ხალხისა და შეგნებული პროლეტარიატისაგან. უნდა ვიმოქმედოთ არა იმ მოსაზრებით თუ რის ხელში ჩაგდება შეიძლება, არამედ იმით, თუ რის შერჩენა და განმტკიცებაა შესაძლებელი.

ჩვენი მიზანი—გაერთიანებაა. მხოლოდ ის მიგვიყვანს გამარჯვებამდი. ლასალის სიტყვით: „ცალკე პირები შეიძლება შეცდნენ—კლასი კი არასოდეს არ ცდება“. აი რატომ მაც არ მეშინია მე ლენინის შეცდომების და მასთან გაერთიანებაც კი შესაძლებლათ მიმაჩნიაო.

მარა წერეთლის უკანასკნელი სიტყვების წინააღმდეგ ლაპარაკობენ ორატორები, უმთავრესათ ბოლშევიკები, მათ ლენინთან შეერთება შეუძლებლათ მიაჩნიათ.

გოლდენბერგი (ბოლშევიკი) ეჭვობს, რომ ლენინთან გაერთიანება შეიძლებოდეს. ამ კათედრაზე გამოაფრიალეს რევოლიუციონური დემოკრატიის წრეებში სამოქალაქო ომის გაჩაღების დროშა (დიდი ტაში). თქვენს ახალ ფრაზებში დახავსებული აზრები გამოიყურებიან, ამხ. ლენინო. ეს წმინდა „ბუნტარობაა“, რომელსაც ანარქიის ქაოსისაკენ მივყავართ. უნდა შეერთდნენ სოციალდემოკრატები, მარა არა იმ კომუნისტებთან, რომელნიც ჩვენ „აყროლებულ გვამს“ გვიწოდებს.

ასეთივე შინაარსის სიტყვებს ამბობენ დანი, სტეკლოვი (ბოლშევიკი) და სხვები. აღნიშნავენ, რომ ლენინს არავითარი გაერთიანება არ სურს.

ერთმა მუშამ (სალდათმა) განაცხადა: „ლენინის გზით რომ ვიაროთ, ჩვენ დავღუპავთ არა მარტო სოციალიზმს, არამედ ბურჟუაზიულ თავისუფლებასაც“. ამიტომ უადგილოა ამხ. წერეთლის ოპტიმიზმი. „კუზიანს სამარე გაასწორებს“.

ამხ. ვოიტინსკიმ (ბოლშევიკი) განაცხადა, რომ რასკოლი არ არსებობს, არის მხოლოდ ის, რომ ლენინმა უარი სთქვა პარტიაზე. ლენინმა ძალიან ნიჭიერათ დაუსვა ჯვარი წარსულ განხეთქილებას. ჩვენ ყველანი შევერთდებით მის წინააღმდეგ და აგრეთვე წინააღმდეგ მისი პროგრამისა, რომელიც მატარებლის ვაგონში მოიგონა. ჩვენი პარტია არ მომკვდარა, პირიქით ძველი უთანხმოებანი გადალახული და დავიწყებულია.

ამხ. ჩხეიძემ თავის სარკასტიულ სიტყვაში სთქვა, რომ ლენინმა კარგათ შეითვისა ჰეგელის თქმულება: „მით უარესი ფაქტებისათვის“. ის ვერ ხედავს ერთ უბრალო რამეს —რუსეთის რევოლიუციის ლომს. რევოლიუციის გარეშე დარჩება მარტო ლენინი, ჩვენ კი ყველანი ერთად ჩვენი გზით ვივლით“.

შემდეგ კენჭი უყარეს შეერთებას. ყველამ ხმა მისცა შეერთებას გარდა სამისა, რომელთაც თავი შეიკავეს. აირჩიეს ბიურო გაერთიანებული სიეზდის მოსაწვევათ.

## გ. ვ. პლეხანოვის ჩამოსვლა პეტროგრადში.

(საკუთარი კორესპ.)

პეტროგრადში 30 მარტს გაზეთებმა გვაცნეს, რომ გ. პლეხანოვმა უკვე გადმოიარა შვეციის საზღვრები და 31 მარტს საღამოს იქნება პეტროგრადშიო. ამის გამო საღამოს 8 საათიდან ფინლიანდიის სადგურს მოაწყდა მრავალი ხალხი. წეს რიგის დაცვა ცოტ თი გაძნელდა, რადგანაც ვაგზლის პირობები ხელს უშლიდნენ. შესახვედრად მოვიდნენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, აფიცერთა, ჯარისკაცთა, პრესის და ყველა რევოლიუციონური პარტიების წარმომადგენლები. აგრეთვე ... ნაწილიდან რამოდენიმე როტები ორკესტრებით. ყველა ამას ამკობდა მრავალი წითელი დროშა შესაფერი წარწერებით. 12 საათზე მატარებელი ნელა მოუახლოვდა სადგურს. გაისმა მარსელიოზის ხმა, ვაგონიდან თავისი მეუღლით გამოდის გ. პლეხანოვი. მან 1876 წელს პირველად ააფრიალა თავისუფლების დროშა რუსეთში. ის ნელ-ნელა მიდის და სალამს აძლევს დამსწრე საზოგადოებას, მუსიკა განუწყვეტლივ უკრავს მარსელიოზას, ჯარისკაცები სამხედრო სალამს აძლევენ. წეს-რიგის დაცვა შეუძლებელი შეიქნა, რადგანაც სულ ყველას ერთბაშად სურდა შეეხედა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მამა-მთავრისათვის, რომელიც 40 წლის განმავლობაში ფიზიკურად დაშორებული იყო თავის საყვარელ ხალხს. ვაგზლის დარბაზში პლეხანოვს პირველად რევოლიუციონური ხალხის სახელით მიესალმა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარემ კარლო ჩხეიძემ და გამოსთქვა იმედი, რომ პლეხანოვი მიიღებს მხურვალე მონაწილეობას მომავალ შრომაში მოპოებულ თავისუფლების განსამტკიცებლად. ხალხის 2 საუკეთესო შვილები პლეხანოვი და ჩხეიძე პირველად ართმევენ ხელს ერთი მეორეს და ეცნობიან. აქვე პლეხანოვი ხედავს კაკი წერეთელს, რომელსაც ცნობილობს და მაგრად მგრძნობიერედ ართმევს ხელს. შემდეგ პლეხანოვმა პასუხი გასცა კ. ჩხეიძეს: „მე იმედი მაქვს, რომ ლონე ნებას მომცემს მონაწილეობა მივიღო თქვენს შრომაში ჩვენი მრავალტანჯულ ხალხის საკეთილდღეოთ. სანეტარო წუთი არის ჩემთვის, როდესაც ვხედავ წითელ თავისუფლების დროშას. მოგესალმები ძვირფასო ამხანაგებო და იმედიც მაქვს შეერთებულ შრომით შინაურ და გარეშე მტრებისაგან დავიცავთ მოპოებულ თავისუფლებას“. ორკესტრი უკრავს მარსელიოზას. შემდეგ მიესალმა სოციალ-დემოკრატმა ოფიცერმა. კიდევ მარსელიოზა. განსაკუთრებული ყურადღება პლეხანოვის მიიმყრო ჯარისკაცის მისალმებამ, რომელმაც გადასცა, რომ თავისუფალი მოქალაქე ჯარისკაცები მოუთმენლად უცდიან ძვირფას მასწავლებლის საერთო საქმეში ჩარევას და ხელმძღვანელობას. პლეხანოვი მასაც პასუხს აძლევს: ჩემი ნატვრა იყო დამენახა რევოლიუციონური არმია, ურომლისოდაც ხსნა არ იყო, ეს ნატვრა ამისრულდა, მე ბედნიერი ვარ. მიიღეთ ჩემგან, რევოლიუციის მოხუც სალდათიდგან გულწრფელი, მხურვალე სალამი. ბოლოს მიესალმა მოსკოვის გარნიზონის წარმომადგენელმა მოხუცებულმა ოფიცერმა. შემდეგ პლეხანოვი ხელით ურას ძახილით და მარსელიოზის ხმით გამოიყვანეს ქუჩაში, სადაც მას უცდიდა აუარებელი ხალხი, რომელმაც დიდი ოვაციები გაუმართა. ამ რიგათ ღამის 1 საათზე ურას ძახილით და მარსელიოზის სიმღერით პლეხანოვი გააცილეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარეების სიეზიზე, სადაც მას დიდი აღფრთოვანებით მიეგებნენ.

**მიხ. ბაჟუნაიშვილი.**

## დეზერტირის წერილი.

სანატრელი ჟამი დადგა! მზის სხივებმა გაანათლა ბნელეთი. ძველი დახავსებული წესწყობილება დაიმსხვრა. რუსეთის პროლეტარიატი განთავისუფლდა და ბრძოლით და სისხლით მოპოებული თავისუფლება მოიპოვა. მაგრამ მოქალაქენო, ჯერ შორს არის სრული გამარჯვება. ჩვენ გარს ძლიერი მტერი გვარტყია, რომელიც ჩვენი ბრძოლით ნაყიდი თავისუფლების ჩაყლაპვას ლამობს. თავისუფლებას საფრთხე მოელის. ამისათვის მოქალაქენო, საჭიროა დავიცვათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე თავისუფლება გარეშე თუ შინაურ მტრებისგან, რომ შევირჩინოთ ბრძოლით ნაყიდი თავისუფლება და რევოლიუცია ბოლომდის დავაგვირგვინოთ. მე როგორც უკმაყოფილო წევრი ძველი მთავრობისა, რომელიც მოგვიწოდებდა დაგვეთრგუნა „შინაური მტერი“, ესე იგი გაგველაშქრა ჩვენი ძმებისა, მამებისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ, მე მოწინააღმდეგე გავხდი ასეთი მთავრობისა და გამოვიქეცი. მოქალაქენო! თქვენ თვითონ მითხარით აქამომდე ვისთვის, ან რა მიზნებისთვის უნდა მებრძოლა? ამავე დროს რამდენი დამცირება, რამდენი ტანჯვა არ გამოგვიცდია. სწორედ აუტანელი ხდებოდა ჩემთვის ყოველივე ეს, მეტადრე მაშინ, როდესაც მე თითონ ჩემი პრინციპების წინააღმდეგ მოქმედება მიხდებოდა.

ეხლა კი მუშათა კლასის განუწყვეტელი ბრძოლის გამო გვეღირსა თავისუფლება. და ჩვენც ჯარისკაცები ეხლა მოქალაქეთა სიაში ვწერივართ. ამხანაგებო, დღეს კითხვა დგება თავისუფლების დაცვის შესახებ. ჯერ კიდევ ნორჩ თავისუფლებას საფრთხე მოელის გარეშე მტრებისგან მეტადრე. მე მზათ დავბრუნდე უკან პოზიციაზე და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვა სამშობლო თავისუფლება. იმედია ჩემებრ უკმაყოფილო ამხანაგები დეზერტირები გაიზიარებენ ჩემს აზრს. დეე ყველამ დაინახოს როგორ შეგვიძლია თავისუფლების დაცვა.

**ნოე კვაჭანტირაძე.**

## ორგანიზაციის წინააღმდეგ

გასულ მარტის ბოლო რიცხვებში რკ... გზის კანტროლში მოსამსახურეთა ერთი... წლის კრება მოხდა. თანამედროვე მომ... შესაფერი წესდების მიღების შემდეგ,

ადგილობრივი ბიურო აირჩია. ბიურო თავისი შემადგენლობით დემოკრატიული იყო და უკიდურეს მემარცხენეთა ელემენტებისაგან შესდგებოდა. ეს არ მოეწონა კანტროლში მოსამსახურეთა მეორე ნაწილს და მთავარ კანტროლიორის მეთაურობით და ჩაგონებით 6 აპრილს მეორე საწინაამდეგო კრება მოიწვია. აშკარა იყო იმათი გულის ზრახვა. კანტროლში მოსამსახურეთა მოხელეთა დიდი ნაწილი რეაქციისა და თვითმპყრობელობის ერთი ბურჯი იყო და დღეს მათი რევოლიუციონერობა და ფიცი თავისუფლების სიყვარულისა ვის დააჯერებს? პირიქით ცნობილია როგორაც ებრძოდენ და იბრძვიან კანტროლში ყოველგვარ რევოლიუციონერობას.

ამ მიზნით აქ ყველა მოსამსახურეთა პოლიტიკურ კრედოს შესამოწმებლათ შემოღებულ იყო ეგრეთ წოდებული „ახსარების წიგნი", სადაც თითოეულს მოსამსახურეს უნდა ჩაეწერა: რომელ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნოდა. აბა ვინ გაბედავდა ეთქვა, ის სოციალ დემოკრატია, ან სოციალ რევოლიუციონერი! სამაგიეროთ ამ წიგნში თავის ვინაობის და გულისნადებს შავრაზმელები დიდის ამბითა და ზეიმით სწერავდენ ხოლმე. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მოსამსახურეთა პოლიტიკურ შეგნებასა და მოქმედებაზე არც ცენტრალური დაწესებულებანი იყვნენ ნაკლებათ დაინტერესებულნი და ამიტომ კანტროლის უფროსი ყოველ წლივ მოსამსახურე „ჩინოვნიკების" შესახებ საიდუმლო ატესტაციას პეტროგრადში აგზავნიდა. ამას დაუმატეთ მთავარ კანტრალიორის შეუზღუდველი უფლებანი მოსამსახურეთა დასჯა-დაშინებაში და თქვენ ნათლათ წარმოიდგენთ, როგორი სისასტიკით და სისტემატიურათ სდევნიდენ კანტროლში ყოველგვარ რევოლიუციონერობას. დღეს კი გამოდიან მთავარი კანტრალიორი და იმისი მონა-მორჩილნი და ყველას არწმუნებენ, რომ ისინი რევოლიუციის მომხრენი არიან!

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ მთავარ კანტრალიორის გარშემო თავმოყრილია კანტროლის მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა, რომელიც კანტროლში რაიმე ორგანიზაციის დაარსებას ყოველნაირი საშუალებით ებრძვის.

ამ მიზნით იყო 6 აპრილს მათი კრება მოწვეული და აი თავის სურვილსაც მიაღწიეს. 8 აპრილს კრებაზედ, რომელსაც თფილისში არსებულ მოსამსახურეთა ცენტრალურ საბჭოს სამი წარმომადგენლებიც დაესწრენ, ისევ ამ უმრავლესობამ მთავარ კანტრალიორს თავისი ნდობა გამოუცხადა, ბიურო დაშალა და სხვა ახალ ბიუროს შედგენა კიდევ შორს მომავლისთვის გადასდო. რკინის გზის კონტროლში კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციას საძირკველი ეყრება.

ესდეკი.

# მუშათა ცხოვრება.

**თფილისის ყველა მებალი მუშათა კრება.** მებ[ა]ლე მუშათა პ[ი]რველი თავისუფალი კრება 9 აპრილს შესდგა ადგილობრივ ბოტანიკურ ბაღში, რომელსაც 126 მუშა დაესწრო. ამ კრებაზე მოწვეული იყო პროპაგანდისტი კალანდაძე, რომელიც თავმჯდ. აირჩიეს; თავმჯდომარემ ძალიან დაიკავა. მან წესრიგისათვის მოუწოდა მუშებს და მოხსენება გააკეთა. მან თავის ვრცელ სიტყვაში ნათლათ დაანახვა მუშებს ახლანდელ რევოლიუციის მნიშვნელობა და მნიშვნელობა; შემდეგ თავმჯდომარემ მუშებს ვრცლათ გააცნო პროფესიონალური კავშირი და მისი მნიშვნელობა.

ამის შემდეგ ილაპარაკა ამხ. ვ. კ—ძემ.

შემდეგ აირჩიეს 9 კაცისაგან კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროფ. კავშ. წესდება და წარმოადგინოს მომავალ კრებაზე 16 აპრილს.

შემდეგი კრება ვერის პარკშია დანიშნული. აირჩიევენ დელეგატს მუშათა საბჭოში გასაგზავნათ.

ვიქტ. ბაჯელი.

**თფილისი.** 11 აპრილს, საღამოს 8 საათზე ხელოსნების სამკეროველოში მოხდა წინასწარი კრება ხარაზების და მეჩექმეებისა, კრებას დაესწრო პროპაგანდისტთა კოლეგიის მიერ გამოგზავნილი გ. სვანიძე, რომელმაც მოკლეთ გააცნო დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა. შემდეგ გააცნო მუშათა კლასის იდეალების გამომხატველნი და შეუდარებელნი მებრძოლნი კ. ჩხეიძე, სკობელევი, კ. წერეთელი და ა. ჩხენკელის მოღვაწეობა, რომელმაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. კრებას დაესწრო ორასამდე კაცი, კრებამ ის აზრი გამოთქვა, რომ მომავალში იქმნეს უფრო ფართო კრება მოწვეული; მომავალი კრების მოსაწვევათ აირჩია 7 კაცისაგან შემდგარი საორგანიზაციო კომისია. ამასთანავე დაავალეს ამხანაგ სვანიძეს მომავალ კრებაზედ წარმოადგინოს ხარაზებისა და მეჩექმეებისათვის პროფესიონალური კავშირის წესდება დასამტკიცებლათ. შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა იმ ამხანაგებზედ, რომელნიც თურმე ეხლაც არ ასრულებენ ძველათ შემუშავებულ ნორმალურ წესებს, როგორც ხაზეიხები, აგრეთვე მომუშავეებიც, ამიტომ კრებამ მოუწოდა მომუშავეებს პროფესიონალური კავშირის დაარსებამდე გაატარონ ცხოვრებაში ძველათ მიღებული ნორმა; უფრო ფართე კრება იქმნება მოწვეული ამ დღეებში და ვთხოვთ ყველა ამხანაგებს დაესწრონ.

გ. გუბელი.

**თფილისის სასწავლებლების დაბალ მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი.** რევოლიუციამ ბევრი დაქაქსული მუშათა ძალები შეერთა. ამ მოკლე ხანში აქ შესდგა ყველა სასწავლებლების დაბალ მოსამსახურეთა პროფ. კავშირი. ჯერ ჯერობით კავშირში 500-მდე წევრი ითვლება. აქვთ შემუშავებული საერთო მოთხოვნილება, რომელიც უნდა წარუდგინონ ოლქის მზრუნველ ლაპატინსკის. მაგრამ წინდაწინ მუშების მოთხოვნით მოწვეულ იქმნა დირექტორთა და სხვა უფროსთა კრება მუშებთან ერთად. კრებაზე ბევრი საყურადღებო რამ გამოაშკარავდა. ეპარქიალურ სასწ. ეკონომ მღვ. მენთეშაშვილი და „ზაველენიე სვიატია ნინის" გამგემ სასტიკად გაილაშქრეს მუშათა ცხოვრების ყოველივე გაუმჯობესობის წინააღმდეგ. რასაკვირველია მათ ბევრი უმშვენებდა მხარს. მოსამსახურენი ყურადღებით ეკიდებიან ორგანიზაციულ მუშაობას, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი კიდევ ვერ ეგუება ახალ კავშირს და რჩება ძველებურად ბატონის „ერთგულ" მსახურათ. საჭიროა მეტი მხნეობა და ენერგიული მუშაობა. ამავე დროს უნდა ზრუნვა პროფესიონალურ კავშირის შედგენას, რათა მეტი ნაყოფიერი გამოდგეს. საჭიროა ამას სხვა კავშირის მუშებმაც მიაქციონ ყურადღება. გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ ძალა ერთობაშია.

ძმა კაცი.

# რევოლიუცია პროვინციაში.

**ხ. ენზელი.** (სპარსეთი). თავისუფლების ბრწყინვალე სხივებმა ჩვენამდისაც მოაღწია, რომლის ძლიერებამ მოჰხიბლა და მიიზიდა ყველა აქ მყოფი საზოგადოება, მხედრობა და ფლოტი. 9 მარტს შესდგა დიდი საჯარო მიტინგი. ნაშუადღევის ორ საათზე პროცესია გაემართა დანიშნულ ადგილზე, სადაც მათ უცდიდა სხვადასხვა საგნებზე მოსული ორატორები. საუცხოვო და თვალწარმტაც სურათს წარმოადგენდა მწყობრი პროცესია, ჯარისკაცთა დიდი უმრავლესობა წითელი ლენტებით არიან მორთულნი, ყველა ხარობს, ყველას სიცოცხლის ღიმი უკრთის, ყველა დღესასწაულობს რუსეთის განახლებას. პროცესიას წინ მიუძღვის რამდენიმე აფიცერი და ჯარისკაცი წითელი დროშებით, გზაში შეუწყვეტლივ ისმის მარსელიოზის სხვადასხვა სიმღერები და ასე აღფრთოვანებული მივიდნენ დანიშნულ ადგილზე. ტრიბუნაზე ავიდა მატად გამხდარი ორატორი, ჩაყვითლებული ახალგაზრდა, ს. დემოკრატების წარმომადგენელი ამხ. სოკოლოვი (სახალხო მასწავლებელია). სიტყვა წარმოსთქვეს აფიცრებმა, ჯარისკაცებმა, მუშების წარმომადგენლებმა და ბევრმა სხვამაც. შესდგა აღმასრულებელი კომიტეტი 19 წევრისაგან, რომელშიაც შედის ყველა დ რიგის წარმომადგენელი. ამ რიგად: სალდათების დეპუტატებიდან მხოლოთ 6 კაცი, მუშებისგან 4, აფიცერთა 3, 3. ტრობებიდან 1, ფლოტის აფიცრებისგან 1, საქ. და საეროთ კავშირებიდან 1, საზღვაო სამოქალაქო კომიტეტიდან 2 და სომხის ... ნაც. 1 კომიტეტში შედის აგრეთვე ამ... ჯარის წარმომადგენლებიც ორი ... თებიდან და ერთიც აფიცრებიდან. ... გასტანა ღამის ორ საათამდე. 12—13 მარტს ენზელში მყოფ გარნიზონმა მიიღო ფიცი, რომ უკანასკნელ სიცოცხლის დღემდე, არავის დაუთმობს სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას. ქალაქში სრული სიწყნარეა. ყოველ საღამოობით იმართება კრებები და ღამის 11 საათამდის გრძელდება. აქვე შესდგა ქართველების კრება, რომელსაც სამასამდე კაცი დაესწრო. კრებას თავმჯდომარეობდა გრიგოლ მაჭავარიანი, რომელმაც გრძნობიარე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და აუხსნა მომენტის მნიშვნელობა. სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე სხვა ორატორებმაც. დასასრულ ბ-ნმა საქართველომ კრების სურვილისამებრ წაიკითხა პატარა რეფერატი: „აკაკი წერეთელი და მისი ზოგიერთი".

მეხუთე ძმა.

**სოფ. გულაჩაური.** (დუშეთის მაზრა). ეს სოფელი მეტათ ჩამორჩენილია; მდებარეობა მართალია კარგი აქვს.

სკოლა არ მოგვეპოვება; აქავე რამდენიმე კომლი თავადიშვილები მოსახლეობენ, გვარათ ხიმშიაშვილები, ესენი მოწინავეობას ჩემულობენ და ფიქრადაც არ მოჰსვლიათ, რომ თავიანთ მოძმე გლეხებისათვის უბრალო წერაკითხვის სკოლა მაინც გაეხსნათ, სოფლელებს მოთავე ესაჭიროებათ, თუ ამგვარი პირი აღმოჩნდება, სკოლის გახსნაზე უარს არავინ იტყვის.

დღეს კი, აქაოდა სოფელი უპატრონოა, ზოგიერთი ვიღაც ტონები ამითი სარგებლობენ და საწყალ ხალხს ტყავს აძრობენ.

საქმე აი რაში გახლავთ: სოფ. გულაჩაურში ცხოვრობს ერთი აზნაური გვარათ ზაქ. გედევანიშვილი, რომელიც პროფესიით ადვოკატობს; გლეხკაცობას სხვადასხვა უბრალო საქმეებზე ქაღალდისა და საჩივრების წერაზე უკანასკნელ გროშებს ართმევს, გლეხკაცობას ბევრს რამესა პირდება, ხალხს ესა სჯერა, ხსენებული პირი კი ჯიბეებს ისქელებს. მარტო ამას არა კმარობს ბატ. გედევანიშვილი.

ამ ვაჟბატონს დუშეთის მაზრის სამხედრო უფროსისგან მინდობილი ჰქონია, რომ ომის საჭიროებისთვის ცხენები და საქონელი ზომოს და მიიღოს. ამ უკანასკნელ სამსახურის ასრულების დროს ხსენებული პირი თურმე მეტათ ბოროტათ სარგებლობს. ამ რამოდენიმე დღის წინათ ამ სოფელში ხსენებულმა პირმა მოაწყო საქონლის და ცხენების დაზომვა; ხალხს უწევდათ სიარული თითქმის ერთი დღის სავალიდან, თეზმისა და ქინვალის ხეობიდან, გლეხები მეტათ უკმაყოფილონი იყვნენ: „კაცის შოვნა არ არის, ხვნა თესვის დრო ეხლა გვაქვს, ისეც დაცარიელებული ვართ და ამ ერთი დღის სავალზე საქონლიანათ გზაში გვტ ნჯავენ და გვაცდენენო". ეს მართალია. ამ შემთხვევაში ბატ. გედევანიშვილს შეეძლო, თუ ხალხისთვის გული შესტკიოდა, საქონლის დაზომვა მოეწყო სამს ადგილას: ნავდარაანთკარში (საგურამოში), ქინვალში და ბულაჩაურში; მაშინ ხალხიც აღარ შეწუხდებოდა.

ასეთ საქციელს ამ ვაჟბატონებმა დროა თავი დაანებონ. ახალი ცხოვრება მყარდება, სიმართლე აღზდგა.

ხოფლელი ამხანაგი.

**დაბა ჩხარი.** აუწერელია ის აღფრთოვანება და სიხარული, რაც რუსეთის დიდმა რევოლიუციამ გამოიწვია. რევოლიუციის ხანაში დ. ჩხარში მიტინგები გაიმართა 10, 12 და 16 მარტს. დ. ყვირილიდან გვეწვია პ. დევიძე ერთი აფიცრის და რამოდენიმე მილიციონერების თანხლებით. იარაღი აყარეს პოლიციას და დაატუსაღეს ბოქაული ი. ... ცხადაძე. შემდეგ გაიმართა მიტინგი. მიტინგზე ილაპარაკა დევიძემ დღევანდელ მომენტზე; მოიხსენია პეტროგრადში და მოსკოვში თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემული ამხანაგები და მოუწოდა საზოგადოებას დაჩოქილიყვნენ; ხალხში გაისმა ქვითინი.

12 მარტს შესდგა კომიტეტი 8 კაცისაგან. სტრაჟნიკებიდან გარდა ოთხისა, ყველა გადაყენებულია. წესრიგს იცავს სახალხო მილიცია.

ქართლო.

**სოფ. მეტეხი.** 25 მარტს შესდგა წინასწარი კრება; დაესწრო 40 კაცი. კრების მიზანი იყო მომზადება არჩევნებისთვის გლეხთა საბჭოების ასარჩევათ; კრება შინაარსიანი გამოდგა—გლეხებმა გამოსთქვეს აზრი შესახებ ახალი არჩევნებისა. ყველა უკმაყოფილოა წარსულ არჩევნების შესახებ, და გამოსთქვამდნენ იმედს, რომ შემდეგში ეს შეცდომები აღარ იქნება დაშვებული; დაადგინეს, რომ პარასკევს 31 მარტს მოხდეს ხელახალი არჩევნები.

**სოფ. ქვემო გომში** (მეტეხის საზოგადოება). 25 მარტს მოხდა საზოგადო კრება, კრებას დაესწრო 300 ქალი და კაცი, კრება გაეცნო მიმდინარე ამბებს და აირჩიეს გლეხთა საბჭოში შემდეგი პირები: 1) ამხ. ნიკალაი კაციაშვილი, 2) გიგა მამულაშვილი, 3) სანდრო მამულაშვილი, 4) იოსებ ბატკუაშვილი, 5) ვანო ზაქარიძე, 6) მიხ. მჭედლიშვილი, 7) თომა ბიძინაშვილი; ხალხი დიდი აღფრთოვანებულია ახალი ამბებითა და არავითარ უწესოებას ადგილი არა ქონია ახალქალაქის რაიონში. ძველ დაწესებულებას ლიკვიდაციას უშვრებიან. ყველა გადადგმულ ნაბიჯს გონივრობა და სიმხნევე ეტყობა; ხალხი დიდის თანაგრძნობით უყურებს ახალ მთავრობას.

**სოფ. წინარეხი.** კვირას 26 მარტს შესდგა სოფ. წინარეხის საზოგადო კრება, კრების მიზანი იყო გაცნობა და არჩევნები გლეხთა საბჭოსი, კრებას დაესწრო 450 კაცი და ქალი. გლეხობა დიდი ყურადღებით ისმენდნენ არჩევნების წესებს; კრებაზე ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი; ჯერი მიდგა არჩევნებზე; შეთანხმებით იქმნენ არჩეული შემდეგი პირები 5 კაცისაგან, 1. ვანო პავლეს ძე ქეშელაშვილი, 2. სოლომონ ტარუაშვილი, 3. ვანო ხმალაძე, 4. გოლა გოდერძაშვილი, 5. იოსებ ალექსის ძე ქეშელაშვილი. კრება შეეხო საჭიროროტო კითხვებს, როგორიც არის ტყე, საძოვარი, სახნავი. აქ მინდორი და ტყე არის თავად-აზნაურობისა, ყველა ამაზე იქმნა შესაფერი ახსნა განმარტება და დარიგება გამოთქმული. ტყეების სასტიკათ დაცვისა, მემამულებთან მომარიგებელი კამერების დაარსებით.

გ. თათარაშვილი.

## თფილისის კლუბების ცხოვრებიდან.

### ახალი საკრებულო.

(ყოფილი ხაროუხის კლუბი). კვირას, 9 აპრილს შესდგა საზოგადო კრება.

კრებაზე იჩინა თავი ორმა მიმდინარეობამ. ერმა, რომლის მიზანი იყო კლუბში მოეხდინა რეორგანიზაცია. მოეწყო ფართო ლექციების, სჯაბაასის მართვა დღიურ საჭიროროტო კითხვებზე. შინაარსიანი წარმოდგენების მართვა, თანდათანობით სხვადასხვა სათამაშოების მოსპობა. ქაღალდის თამაშის მთლათ მოსპობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ძველ-რეჟიმის დროს აკრძალული იყო ქაღალდის თამაში, დღეს კი რაც პოლიტიკური თავისუფლება გამოცხადდა, ფართოთ მოაწყეს ქაღალდის თამაში ყველა კლუბებში, რასაც ახლავე უნდა მიაქციოს თფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა ყურადღება. სამწუხაროთ ერთი აურზაური ასტეხეს ქაღალდის თამაშის მოყვარულებმა, გამოიტანეს დადგენილება ქაღალდის თამაში არ მოისპოს; სამწუხაროა უფრო ის, რომ ამ წინადადებას ხმა მისცეს ზოგიერთმა რკინის გზის მოსამსახურეებმა, რომლებიაც თავი დემოკრატათ მოაქვთ.

მეორე მიმდინარეობამ გაიმარჯვა: შესაფერი მამასახლისებიც აირჩია, რომლებიც მტკიცეთ გაატარებენ და ფართოთ მოაწყობენ ბანქოს ყოველგვარ თამაშას. ღ. დუმბაძეს და მის კამპანიას მეტის გაკეთების უნარი არც აქვთ.

საზოგადო კრების დადგენილებამ გამოილო იმ დღესვე ნაყოფი: ბიბლიოტეკაც სათამაშო ოთახათ გადააქციეს. როგორც ჩანს პოლიტიკური თავისუფლება ყველას თავისებურათ ესმის. ახალ საკრებულოს მრავალი შეგნებული წევრები ჰყავს, მაგრამ სამწუხაროთ კრებას არ ესწრობიან და საშუალებას აძლევენ უმცირესობას გამოიტანონ დამამცირებელი დადგენილებები და სათავეში ჩაუდგნენ ყოვლად უვარგისი პირები.

დამსწრე.

# გაზეთის სასარგებლოთ.

**დ. ჭიათურა.** ჩომახაძის და სამხარაძის ქარხნის და მაღაროს მუშებისაგან! მოგესალმებით მუშათა ინტერესების დამცველო გაზ. „ერთობავ"! გიგზავნით მცირეოდენს წვლილს 36 მ. 35 კ. 5 მ. 60 კ. გთხოვთ გაზეთი გაუწეროთ ქარ. ჯარისკაცებს ორ-ორი თვით გერმანიის და კავკასიის ფრონტზე. დანარჩენი 30 მ. 75 კ. კი გაზ. „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ. შემომწირ. სია: ვასილ ვაშაკიძემ 3 მ., ს. ხვედელიძემ 3 მ.; თითო მანეთი, დათიკო ვაშაკიძემ, კოლია სვანიძემ, ალექსანდრე სანაძემ, ილია გოგავამ, დომენტი სვანიძემ, იაკობ ვაშაკიძემ, ოსმან კობალაძემ, გრიგოლი სამხარაძემ, ისაია კერესელიძემ, კირილე გვრიტაძემ, არქიფო მთ—ძე ხვედელიძემ, ერისტო მენაფირემ, ბიკტორ მენაფირემ, დომენტი ალექ—ძე სამხარაძემ, კარპოზი ყიფშიძემ, ვასილ ხვედელიძემ, გიორგი ხვედელიძემ, გიორგი კუპატაძემ, დანიელ კუპატაძემ, სევერიანე კუპატაძემ, სიმონ კუპატაძემ; ათ-ათი შაური: ბესარიონ სამხარაძემ, კაპიტონ წოწერია, ელიზბარ ცერცვაძემ, ბარამია ცერცვაძემ, დიმიტრი შეყრილაძემ, ილიკო ლოლაძემ, კოსტა სამხარაძემ, სიმონ ცვედელიძემ, მიხეილ ცერცვაძემ, კიმოთე ხვედელიძემ, ამტონ ცერცვაძემ, აბესალომ ცერცვაძემ, არქიფო ხვედელიძემ, ილია ყიფშიძემ, დომენტი სამხარაძემ, პლატონ სამხარაძემ, ბიკტორ ცერცვაძემ, ისმაილ ცერცვაძემ, როსტომ სამხარაძემ 35 კ. სულ 36 მ. 35 კ.

ამხ. მინდობილობით ილია ნ. გოგავა.

—

მიხა თედორაძის ხსოვნის აღსანიშნავათ ამხანაგების შორის შეგროვილ იქნა სულ 84 მ. 85 კ., რომელიც განაწილდა შემდეგნაირათ: ნოე ჟორდანიას სურათი ღირებული 10 მ., გაზ. „პრავდას" 18 მ.; მარცხანის ბიბლიოთეკის გადასაცემათ 10 მ.; ნინოშვილის სურათის 10 მ.; ჟურნალ „ეშმაკის მათრახის" ერთი წლით ფარცხანაყანების ბიბლიოთეკას. დანარჩენი 29 მ. 85 კ. გაზეთ „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ. შემომწირველთა სია. ორ-ორი მანეთი: კ. ელიაშვილი, ს. ბოლქვაძე, პ. ტორონჯაძე; თითო მანეთი: ი. უშვერიძე, ს. გოლოვკო, კ. ჩისტი, ბ. ქავთარია, კ. ფირცხალავა, თ. შეწირული, ი. ხარებავა, ხ. ხურციძე, ი. მარცვალაშვილი, გ. გორდელაძე, გ. ნოსირაძე, ი. ურუშაძე, მ. ჩხარტიშვილი, ი. ნანაძე, ას. სიხარულიძე, ი. გირგოლია, ფორჩხიძე, კოპალეიშვილი, კ. გოძიაშვილი, ნ. სალუქვაძე, გ. კუპინიძე, ნ. ზარამიძე, პ. ბობოყვაძე, ი. დოლიძე, ლ. ჯინჭარაძე, რ. ქუთათელაძე, დ. ტოტაძე, ა. მჟავანაძე, ი. ურუშაძე, ს. თვალთვაძე, ვ. ჭუბაბრია, ლ. ვაჩეიშვილი, ი. დუნდუა, ს. ჯანელიძე; მანათნახევარი ვ. მაჩაბელი; ათ-ათი შაური: სიმ. კამკამიძე, ე. ბეშკენაძე, ბ. დოლიძე, ა. რუხაძე, ს. გოგუაძე, გრ. შენგელია, ო. გორხელიძე, ა. მიქაშავიძე, ს. გოგიბერიძე ა. მიმინოშვილი, ვ. მიმინოშვილი, ლ. ნინიძე, დ., მანჯგალაძე, მ. გვაზავა, ე. გადელია, ვ. სურგულაძე, მ. ციცქიშვილი, დ. ადეიშვილი, ო. მანჯგალაძე, მ. ჩოჩია, ა. აბრამოვი, ა. სტეფანოვი, ი. ლაპარტყავა, ს. ნიკურაძე, ა. ბოლქვაძე, ი. ფანცულაია; ექვსი შაური კ. ბერძენიშვილი; აბაზი ზ. ბოგიშვილი; შვიდი შაური ო. შენგელია.

—

გიგზავნით 15 მ. ჩემი უკვე გარდაცვალებული მეუღლის ირინეს ხსოვნის აღსანიშნავათ, გვირგვინის ნაცვლათ. ეს ფული გთხოვთ შემდეგ ნაწილათ დაჰყოთ: 5 მანეთი გაზეთ „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ, 5 მ. გაზეთ „ფაიქარის" სასარგებლოთ, 5 მ. რევოლიუციის გმირებს ფონდის გასაძლიერებლათ.

ჩემის სიძის მონდობილობით, მიცვალებულის ძმა ჯ.-კ. დავითი გ ზარქუა.

## წერილები რედაქციის მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ შემდეგ ცნობას ადგილი დაუთმოთ „ერთობის" მახლობელ ნომერში; მეათე შტაბის მუშა ბატალიონის დეპუტატთა კრებამ, რომელსაც დაესწრო 9 აფიცერი და 36 სალდათი ერთხმად დაადგინა: ვიღებთ რა მხედველობაში საშინაო და საგარეო საჭიროებას, უარს ვამბობთ ... მიღებაზე, რაც გადაეცემა დროებით მთავრობას თავის განკარგულებაში; იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ნაბიჯს გამოეხმაურებიან ამხანაგი აფიცრები და სალდათები.

კრების თავმჯდომარე პრაპორშჩიკი ხერედა და მდივანი ბექკერი.

—

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით მადლობა გამოვუცხადოთ სამსონ სიმონის ძე ქორიძეს, რომელმაც გასულ წელს ს. ციხის სამკითხველოს სასარგებლოთ შეკრიბა 44 მ. და 30 კაპ. შემომწირველთა სია: სამსონ ქორიძე 5 მან., X 1 მან. ფირცხალავა ვანიჩქა 50 კაპ., არუტინოვ 50 კაპ., დიმიტრი ტყეშელაშვილი 30 კაპ., ერასტო ბოკუჩავა 50 კაპ., დრ. გაგნიძე 30 კაპ., ტილიპუჭურიდან სიმონია 1 მან., Поляковъ 50 კაპ., ემ. კეკელიძე 1 მან., Б. Свѣтликъ 20 კ., № 50 კაპ.; ნიკიფორე მეგრელიშვილი 20 კაპ., მიხეილ ხიზანოვი 1 მან. გრ. სამუელოვი 1 მ., 50 კ., პართენ დადაშიძე 20 კ., მიალოვ 40 კაპ., სანდრო მახარაძე 1 მან., ერმილე ბაბუნაშვილი 1 მან., დათიკო ესელიანი 1 მან., ივანე ზაბეიშვილი 1 მ., ზახარ საფარიანც 1 მ., სერგო ხიზანოვი 1 მ., იოსებ კორნელი 1 მ., ნიკო მიქაძე 1 მან., მირიან ბარაბიძე 50 კ., გალაქტიონ მახარაძე 50 კ., ხასან დოხცირავ 1 მ., ვასილი მასხულია 1 მან., სერგო გოგიძე 1 მ., Пашхи Коли 3 მ., ევგენი სიხარულიძე 1 მ., კალ. გოგიძე 1 მ., ისიდორე ოდიშარია 1 მ., ერასტო ბედია 1 მ., აფთიაქი ელენტისა 3 მ., აფთ. იშხ. 1 მ., გრ. გოგობერიძე 1 მ., ეპიფან ასათიანი 3 მან., ნიკო საჩიმელია 1 მან., არჩილ სიგუა 1 მან.

პატ. ს. ციხის სამკითხველოს გამგეობა.

# ცნობები

## ჯარისკაცების შესახებ.

ფერშალი დათიკო დიმიტრის ძე პატიეშვილი, ძიმითელი, რომელიც მსახურებდა 487 საველე გოსპიტალში, გარდაიცვალა და დავასაფლავეთ ხნისკალაში დიდი პატივი გვცა პრაპორშჩიკმა კაპიტონ დიმიტრის ძე ბაქრაძემ; მასთან მთელმა ქართველმა აფიცრებმა და ჯარისკაცებმაც.

კოლია ლომთათიძე.

—

ჯარისკაცი ერვანდა ვანოს ძე ანანოვი მსახურებდა ქალაქ. კაზანში, 95 სათადარიგო ქვეითა ბათალიონში, 6 როტაში. წელიწადზე მეტია არავითარი ცნობა არ მიმიღია და თუ ვინმემ რამე იცის სად იმყოფება გთხოვთ მაცნობოთ შემდეგი ადრესით: Тифлисъ Телетская ул. № 1 Гаяне Оганова.

— ჯარისკაცი დავით (დათიკო) ექვთიმეს ძე ფილია მსახურებდა Кавказкая армія 28 Кавказскій Этапный баталіонъ 2-ая рота 2-ая полрота селеніе Фамъ. ორი თვეა რაც მშობლებმა არაფერი იცის, ვსთხოვ ყველას ამხანაგ ჯარის კაცებს თუ ვინმემ რამე იცის მაცნობოს: ნიგოითში მამა ექვთიმე ფილიას.

— მცხოვრები სამტრედიის საზოგადოების მაქსიმე ივანეს ქანთარია მსახურებდა კავკასიის არმიაში 17 მსროლელ პოლკში მეცხრე როტაში. რვა თვე გადის რაც მის შესახებ მშობლებმა არაფერი ვიცით და გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ აცნობოს შემდეგი ადრესით: Ст. Самтреди Матеріальный складъ Андрею Кантарія.

რედ.-გამ ომცემელი მღ. მ. ბოხუჩაძე.

# მატარებლების მიმოსვლა

### ამიერ კავკასიის რკინის გზებზე

(ნაჩვენებია თფილისის დრო).

### თფილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ საფ. | № 5, 11 | ს. 03 | წ. | დღ. |
| „ სამგზ. | „ 9, 10 | „ 13 | „ | საღ. |
| ბაქოსაკენ საჩქ. | „ 6, 11 | „ 18 | „ | დღ. |
| „ სამგზ. | „ 8, 3 | „ 54 | „ | დღ. |
| „ საფ. | „ 4, 9 | „ 28 | „ | საღ. |
| ყარსისაკენ სამ. | „ 4-8, 11 | „ 13 | „ | საღ. |
| თელავისაკენ | „ 7 | 7 | „ 58 „ | დილ. |

### თფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან სამ. | № 10, 9 | ს. 52 | წ. | დღ. |
| „ საფ. | „ 4, 3 | „ 38 | „ | საღ. |
| ს.-ბოროჯ. სამ.. | „ 20, 7 | „ 48 | „ | დღ. |
| „ „ | „ 18, 10 | „ 12 | „ | საღ. |
| ბაქოდან საფ. | „ 3, 10 | „ 08 | „ | დღ. |
| „ სამგზ. | „ 7, 4 | „ 12 | „ | საღ. |
| „ საჩქ. | „ 5, 8 | „ 48 | „ | საღ. |
| თელავიდან | „ 3, 7 | „ 58 | „ | საღ. |

11 აპრილს ვლადიმიროვის ქუჩაზე მეთერთმეტე უბანში

# დაიკარგა

საფულე, რომელშიდაც იყო 10 მან. ფული, უვადო პასპორტი და სხვადასხვა საბუთის ქაღალდები. მპოვნელს ვსთხოვ ფული დაიტოვოს და საბუთები გამომიგზავნოს სასტუმ. „ნოეში" მიხეილის პრ. თფილისში.

პავლე ნანიკოს ძე ჟოჟიკაშვილი.

# დაიკარგა

იაპონური რედიკული ქ. თფილისში, ელისაბედის ქ. შიგ არის ფული, გასაღები და სხვა. ვსთხოვ მპოვნელს მოიტანოს იზმაილოვის ქ. № 14 ბესარიონ დოლიძეს. მიიღებს შესაფერ ჯილდოს.